საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 23 მაისი. 2018 წ. №108 (8509), ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.

დეკრიმინალიზაცია

საქართველოს ნარკოვაჭრობის მსოფლიო ცენტრად გადააქცევს!

SOS!

③

საქართველოს პრეზიდენტმა ვიტალი დარასელია სიკვდილის შემდეგ ღირსების ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავის საზეიმო კვირეულის ფარგლებში, ქართული ფეხბურთის განვითარებასა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისათვის თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი ვიტალი დარასელია სიკვდილის შემდეგ ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო ჯილდო ფეხბურთის ფედერაციაში ვიტალი დარასელიას შვილს ქრისტინეს გადასცა. ფედერაციაში პრეზიდენტს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა უმასპინძლა.

23 ოლიმპიური ჩემპიონი ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვდება

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დღეს ოლიმპიურ ჩემპიონებს ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოებს. ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ავრცელებს.

ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები და საპატიო სტუმრები.

ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგში საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია!

აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგში საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, — ამის შესახებ სენატორებმა — რონ ჯონსონმა და კრის მერფიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრისას განაცხადეს.

შიდა უსაფრთხოებისა და სამთავრობო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე რონ ჯონსონმა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპისა და ევრაზიის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე კრის მერფიმ განსაკუთრებით აღნიშნეს ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში, რეფორმების გზით მიაღწია. **სენატორების შეფასებით, მისასალმებელია, რომ რუსეთის აგრესიის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ ქვეყნის სტაბილური განვითარების გზა შეინარჩუნა.**

განსაკუთრებით გაესვა ხაზი კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით არსებულ პროგრესს და უსაფრთხოების გაძლიერებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. ასევე, ყურადღება გამახვილდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და იმ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებშიც საქართველოა ჩართული. რონ ჯონსონმა და კრის მერფიმ ასევე განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნეს ნატოსთან ინტეგრაციის კუთხით საქართველოს მიერ ბოლო წლებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი, როგორც სამხედრო რეფორმების, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით. **სენატორებმა პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს კიდევ ერთხელ დაუდასტურეს, რომ საქართველოს აშშ-ში, „რესპუბლიკელებისა" და „დემოკრატების" ძლიერი, ორპარტიული მხარდაჭერა აქვს.**



⑦

თენგიზ უთმელიძე — სიჭაბუკის 80 წელი!

თითქმის — ოძეკი!

გუშინ ნაცუ ბაშოს ტრადიციული ტურნირის მეათე საშეჯიბრო დღეს ლევან გორგაძემ მეათე მოგებით ოძეკობაზე გააკეთა განაცხადი.

ტოჩინოშინის მეტოქე მეოთხე მაეგაშირა, 29 წლის იაპონელი ჩიოტაირიუ იყო, რომელსაც ქართველმა თავიდანვე ჩაავლო მავაში ხელი და იორიკირით გადაიყვანა.

ქართველი სეკიტორი 10 გამარჯვებით ბაშოს ერთპიროვნულად ლიდერობს, ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ბაშოს დასრულების შემდეგ სუმოს კომიტეტი შეიკრიბება და იმსჯელებს ტოჩინოშინისთვის ოძეკის წოდების მინიჭებაზე. ოძეკი არის სუმოს ტიტულებს შორის რანგით მეორე წოდება, ამაზე მაღალი იერარქია სუმოში არის იოკუძუნა. ქართველი ფალავნის უახლოესი მდევრები კი 40-გზის ჩემპიონი, დიდი იოკუძუნა ჰაკუჰო და იოკუძუნაკაკარიუ არიან.

დღეს ტოჩინოშინის მოწინააღმდეგე მისთვის საკმაოდ უხერხული მეტოქე, იაპონელი კოტოშოგიკუ იქნება, რომელთანაც ლევანს უარყოფითი ბალანსი, 7:24-ზე აქვს. კოტოშოგიკუ მეხუთე მაეგაშირაა, რომელმაც ამ ბაშოზე 6 შეხვედრა მოიგო და 4 წააგო.

პრემიერ-მინისტრმა აშშ-ში ავღანეთში დაჭრილი ქართველი სამხედრო მოსამსახურე მოინახულა

საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეების – კონგრესმენ ტედ პოსა და კონგრესმენ ჯერალდ კონოლის სახელით, აშშ-ის კონგრესში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საზეიმო მიღება გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო.

პრემიერმა მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეებს და საქართველოს მეგობრებს აშშ-საქართველოს პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავებაში შეტანილი წვლილისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მიღებაზე სიტყვით გამოსვლა გიორგი კვირიკაშვილმა ავღანეთში დაჭრილ ქართველ სამხედრო მოსამსახურეზე საუბრით დაიწყო, რომელიც რეაბილიტაციის კურსს ვაშინგტონში გადის. „დღეს, „ვოლტერ რიდის“ ეროვნულ სამედიცინო ცენტრში ქართველი ლეიტენანტი ივერი ბუაძე მოვინახულე – მეომარი, რომელიც გასული წლის სექტემბერში, ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში დაიჭრა.

დიდებული ახალგაზრდა, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა და თავისი მისია. მან მითხრა: **„ეს ჩემი ვალია, მე ჩემი ქვეყნისთვის სიცოცხლესაც დაუფიქრებლად გავიღებ, თუ საჭირო გახდება. მიხარია, რომ შემიძლია, რაღაც გავაკეთო ჩვენი ქვეყნისთვის. ერთ-ერთი, რაც საქართველოს მსოფლიოში წარმოაჩენს, ჩვენი შეიარაღებული ძალებია და ამას ჩვენი ევროპელი და ამერიკელი კოლეგები ყოველთვის აღნიშნავენ. მჯერა, ჩვენი სურვილი – ნატოში და ევროპულ სტრუქტურებში გაწევრება, მალე რეალობად იქცევა. მინდოდა ეს თქვენთვის გამეზიარებინა, შემეხსენებინა, რომ ჩვენ ამ ჯარისკაცებთან ვალში ვართ, იმ ჯარისკაცებთან, რომლებიც გლობალურ უსაფრთხოებას და სტაბილურობას იცავენ. ჩვენ ძალიან ვამაყობთ ისეთი გმირებით, როგორიც არის ივერი, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებთ სწორედ ის, რაც ჩვენ ჩვენს საერთო მისიებში ერთ ოჯახად გვაქცევს. ჩვენი მებრძოლები ამაყობენ, რომ მსახურობენ აშშ-ის მებრძოლებთან ერთად. ისინი დაახლოვდნენ და იქცნენ თანამებრძოლებად“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ბატონი ბიძინა უფრო ჩვენს არგუმენტებს ისმენდა

ბატონ ბიძინას თავისი შეხედულება ამ ჯერზე არ დაუფიქსირებია – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა მირიან წიკლაურმა საპარლამენტო უმრავლესობის სხდომის შემდეგ განაცხადა.

„ბატონ ბიძინას თავისი შეხედულება ამ ჯერზე არ დაუფიქსირებია, უფრო ჩვენს არგუმენტებს ისმენდა, შესაბამისად, დავიშალეთ ისე, რომ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია. შეხვედრები გაგრძელდება, მუშაობა გაგრძელდება და ჩამოვყალიბდებით პოზიციაზე, რომელიც ქვეყნისათვის მისაღები და სასურველია. ჩემი პირადი პოზიციაა, რომ ასე ხელაღებით დეკრიმინალიზაცია არ შეიძლება მოხდეს, რადგან ამას შესაბამისი ჯაჭვური რეაქცია მოყვება. აქედან გამომდინარე, სასურველია, გარკვეული ლიბერალიზაცია მოხდეს, მაგრამ არა ისე, რომ ამან სხვა უარესი მოვლენები არ გამოიწვიოს. რამდენადაც მე ვიცი, ჯერჯერობით ბიძინა ივანიშვილს რაიმე აზრი არ გამოუთქვამს. ბატონი ბიძინას სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, გამომდინარე მისი ავტორიტეტიდან, მაგრამ გადამწყვეტ სიტყვას პარლამენტი იტყვის“, – განაცხადა წიკლაურმა.

რუსეთი 2008 წლის საომარი მოქმედებებისთვის მინიმუმ 2006 წლიდან ემზადებოდა

ოფიციალური თბილისი ევროსასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია. როგორც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ამბობს, ევროსასამართლოს აქვს ყველა მტკიცებულება იმისთვის, რომ გამოიტანოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება. თეა წულუკიანის თქმით, მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ ვლადიმერ პუტინი 2008 წლის აგვისტოს ომამდე გაცილებით ადრე ემზადებოდა საქართველოში ინტერვენციისთვის.

„დიდი იმედი გვაქვს როგორც მხარეს, რომ სტრასბურგის სასამართლო გამოიტანს ობიექტურ გადაწყვეტილებას, სამართლიან გადაწყვეტილებას როგორც ეს მათ სჩვევიათ, რადგან არიან მსოფლიოში ყველაზე მაღალი რეპუტაციის საერთაშორისო სასამართლო და რომ ის იტყვის სიმართლეს. სიმართლე კი არის ის, რომ რუსეთი 2008 წლის საომარი მოქმედებებისთვის მინიმუმ 2006 წლიდან ემზადებოდა. ამას მოწმობს ბატონი პუტინის საჯარო გამოსვლაც და რომ ჩვენ ვიხილეთ გაასმაგებული ხარისხი კონტროლისა აგვისტოს თვეში რუსეთის მხრიდან,“ – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მიშას შერქმეული სახელის გაუქმება ემცხეთათ!..

თბილისის საკრებულოს საჯარო სხდომაზე „ვარდების მოედნისთვის“ პირველი რესპუბლიკის სახელის მინიჭების საკითხი განიხილეს, რომელსაც პარლამენტარები, საზოგადო მოღვაწეები, ისტორიკოსები ესწრებოდნენ. მოედნისთვის სახელის გადარქმევის შესახებ საკრებულოს ინიციატივა საზოგადოებას საკრებულოს სიმბოლიკის და სახელდების კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა წარუდგინა.

„უწოდეთ, თქვენ რასაც გინდათ „ოცნების მოედანი“, ხვალ, როდესაც თქვენ აღარ იქნებით ხელისუფლებაში, მომდევნო ხელისუფლების ამოცანა აღარ იქნება ქუჩებისთვის სახელების გადარქმევა, – ამის შესახებ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა. ოპოზიციამ სხდომა დატოვა.

უნდა მოგვარდეს ბრაკონიერობის პრობლემები

ბრაკონიერობის პრობლემის მოგვარების მიზნით შეხვედრა კოლხეთის ეროვნულ პარკში გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ბრაკონიერობის წინააღმდეგ კონკრეტული ზომების გამკაცრებაზე, ამავდროულად, სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერის პოპულარიზაციაზე და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელობაზე.

პროცესში ჩართული იყვნენ როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ასევე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლები, მეთევზეთა ფედერაცია და ადგილობრივ მეთევზეთა კლუბი „ფაზისი“.

მეტროს მემანქანეებს სამუშაო საათებში გაფიცვა აეკრძალათ

მერიამ სასამართლოს გზით, მეტროს მემანქანეებს სამუშაო საათებში გაფიცვა განუსაზღვრელი ვადით აუკრძალა. გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო. ინფორმაციას ამის შესახებ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი ავრცელებს.

გადაწყვეტილება სასამართლომ სატრანსპორტო კომპანიის მიმართვის შემდეგ მიიღო, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ მემანქანეების გაფიცვა უკანონო იყო. მეტროში დასაქმებულებს პროტესტის რადიკალური ფორმისთვის 3 ივნისს უნდა მიემართათ, რადგან სწორედ ამ დროს ამოიწურებოდა წინა განჩინებით გათვალისწინებული ვადა.

ფოთის თეატრის რეაბილიტაციის ტენდერი ჩაიშალა

ფოთის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის ექსპერტიზისა და რეაბილიტაციის პროექტის შესადგენად გამოცხადებული ტენდერი კიდევ ერთხელ ჩაიშალა, რადგან ტენდერში არც ერთ კომპანიას არ მიუღია მონაწილეობა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან საპროექტო სამუშაოებისთვის 30 ათასი ლარი იყო გამოყოფილი.

„ჩვენი შემდგომი ნაბიჯები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით იქნება გათვალისწინებული. ჯერ არ ვიცით, მესამედ გამოცხადდება ტენდერი თუ შესაბამისი კომპანია ერთ პირთან მოლაპარაკების წესით შეირჩევა“, – აცხადებს ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თემურ დუნდუა.



გრძელი სამარშრუტო ხაზები, შესაძლოა, გაუქმდეს და მგზავრთა გადაჯდომის ადგილები დაწესდეს

დედაქალაქში არსებული გრძელი სამარშრუტო ხაზები, შესაძლოა, გაუქმდეს და მგზავრთა გადაჯდომის ადგილები დაწესდეს. თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო კომისიის სხდომაზე თბილისის ავტობუსებისა და მიკროავტობუსების ხაზების რესტრუქტურიზაციის პროექტზე ისაუბრეს. ასევე შესაძლოა, რუსთავიდან, გარდაბნიდან და მცხეთიდან თბილისში მოძრავ სამარშრუტო მიკროავტობუსებს გაჩერების ადგილები დაწესდეთ, რომლის იქითაც მათ თბილისში მგზავრების შემოყვანა აღარ შეეძლებათ.

„საუბარია იმაზე, თუ სად უნდა მოხდეს გადაჯდომა, გაჩერების ადგილის დაწესება თბილისში შემოსული მიკროავტობუსებისათვის, ის, რომ რუსთავიდან თბილისამდე მგზავრი უნდა ჩამოვიდეს კომფორტულად, ამაზე არავინ დავობს. საუბარია იმაზე, რამდენად სიღრმეში უნდა შემოვიდეს თბილისში, მაგალითად, რუსთავიდან მომავალი სამარშუტო მიკროავტობუსი, ამას ჩვენ აუცილებლად დავადგენთ. გადაჯდომა შეეხება არა მარტო რუსთავიდან, მცხეთიდან ან გარდაბნიდან შემომავალ სამარშრუტო მიკროავტობუსებს, არამედ თბილისში არსებულ გრძელ მარშრუტებსაც. მოხდება დადგენა იმ ადგილების, საიდანაც მგზავრი ძალიან კომფორტულად გადაჯდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვა საშუალებაში. შესაძლოა, ეს იყოს ავტობუსი, მეტრო და ა. შ.“, – განაცხადა ქართული საკონსულტაციო კომპანია „სპექტრუმ კონსალტინგის“ წარმომადგენელმა ასმათ აბესაძემ.

დეკრიმინალიზაცია საქართველოს ნარკოვაჭრობის მსოფლიო ცენტრად გადააქცევს!

მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ზუსტი მნიშვნელობა იმ ტერმინებისა, რომლებმაც ამ ბოლო ხანებში მთელი საქართველო უკიდურესად ააფორიაქა: ლეგალიზაცია — (ლათ. Legalis) რაიმე მოვლენის, ფაქტის, ქმედებისთვის კანონიერი ძალის მინიჭება; დეკრიმინალიზაცია (ლათ. Criminalis) — კანონიერად გამოცხადება ისეთი საქმიანობისა, რომელიც მანამდე უკანონოდ, აკრძალულად ითვლებოდა.

თუ საუბარი ავადსახსენებელ ნარკომანიას და ნარკოტიკებს შეეხება, ლეგალიზაცია ნიშნავს ნარკოტიკების მოხმარების, წარმოებისა და გასაღების კანონიერებას, სახელმწიფოს სამართალდამცავი სისტემის მხრიდან ნარკოტიკების მომხმარებლების, მწარმოებლების, გადამზიდავების, შემნახველებისა და გამსაღებლების („ბარიგების“) ხელშეუხებლობას. აქედან გამომდინარე, საქართველოში სახელმწიფოებრივ დონეზე კანონი ნარკოლეგალიზაციის შესახებ (ისევე, როგორც თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს უმრავლეს ქვეყანაში) არ განიხილება. ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით მაინც.

დეკრიმინალიზაცია გულისხმობს აკრძალვათა სისტემის გაუქმება-შემსუბუქებას ნარკოტიკის მოხმარებასა და შენახვაზე. ხაზს ვუსვამ — საუბარი ეხება მხოლოდ მოხმარებას და მხოლოდ გარკვეული დოზით შენახვას. არ ეხება კანაფის პლანტაციების მოშენებას, ნარკოტიკების მწარმოებელი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას, გადაზიდვას და ვაჭრობას. არც ცნობილი და დამსახურებული ნარკომანის 30 წლის იუბილეზე კილონახევარი მორფიუმით დასაჩუქრებას.

დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში, სახელმწიფო ამავე დროს, უფლებას იტოვებს, ნარკოტიკების მომხმარებლებს აუკრძალოს მუშაობა სახელმწიფო არჩევით თანამდებობებზე, სასამართლო და სამართალდამცავ სისტემაში, არმიაში, განათლების სისტემაში, მედიცინის სისტემაში, მძღოლებად და ასე შემდეგ.

ნარკოტიკების მოხმარებასთან, დამზადებასთან, შენახვასთან, გადაზიდვასთან, ვაჭრობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში, თუ არ მეშლება, მოქმედებს ოთხი კანონი: 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; 2. საქართველოს კანონი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ; 3. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; 4. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ.

ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციისთვის ბრძოლის აქტივისტებს და მათ მხარდამჭერებს შეუძლიათ, ნახონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავი (ნარკოტიკული დანაშაული), მუხლები 260 — 274 და გარკვევით თქვან, ამ კანონის რომელი მუხლის რომელი პუნქტის გაუქმებას ან შეცვლას მოითხოვენ და რატომ. საქმე ის არის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წელს უკვე შეცვალა ან გააუქმა ის პუნქტები, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარებაზე სისხლის სამართლებრივ სასჯელს ითვალისწინებდა. სამაგიეროდ, არ გაუუქმებია სასტიკი სასჯელები ნარკოტიკის წარმოება-გადაზიდვა-გასაღება-შენახვისთვის, რაც ძველებურად არის მყარი ფუნდამენტი ეჭვმიტანილის დასაპატიმრებლად. უფრო „ხალხურად“ რომ ვთქვა, სწორედ ეს გახლავთ პოლიციის მხრიდან ეჭვმიტანილისთვის ნარკოტიკის „ჩადების“ საფუძველი და, სხვათა შორის, ალალი ნარკობარიგების მთავარი არგუმენტიც საკუთარი უმწიკვლობის დასამტკიცებლად — ჩამიდეს, ბატონო!

საქართველოში ნარკოტიზმთან დაკავშირებული პრობლემები დღეს არ დამდგარა; ამაში რაიმე განსაკუთრებული წვლილი არც შსს-ს ბოლოდროინდელ ანტინარკოტიკულ „სპეცოპერაციებს“ მიუძღვის და არც ორგანიზაცია „თეთრი ხმაურის“ ყალბ თავგამოდებას „დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად“. სხვათა შორის, არც პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩის“ წევრების მხრიდან მიტინგებზე კანაფის ნარგავების აფრიალებას.

პრობლემა არსებობს, დიდი ხანია და მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რაც შეეხება საქართველოს, უახლესი მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით მსოფლიოში საპატიო მესამე ადგილი გვიკავია და ბევრად ვუსწრებთ ევროპის ყველა ქვეყანას, ამერიკის შეერთებულ შტატებს და, რაც მთავარია, „ოკუპანტ“ რუსეთს!

ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობისას და შემდეგაც საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებობდა ნარკომანიის პრობლემების შემსწავლელი კომისია პროფესორ ანზორ გაბიანის ხელმძღვანელობითა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ გელა ლეჟავას უაქტიურესი მონაწილეობით. ექიმ და ჟურნალისტ გურამ შამანიდს, მეც, სხვა ჟურნალისტებსა და სპეციალისტებს „საქართველოს რესპუბლიკაში“, „დრონში“, „რეზონანსში“, გამოქვეყნებული გვაქვს ანალიტიკური სტატიები ნარკომანიის პრობლემებზე, დეკრიმინალიზაციის ავკარგზე; მონაწილეობა გვაქვს მიღებული სპეციალურ სატელევიზიო გადაცემებში...

და თუ ყველაფერ ამას შედეგი არ მოჰყოლია, არა იმიტომ, რომ მაშინ ჩვენს გვერდზე ზურაბ ჯაფარიძის, ბაია პატარაიასა და ბექა წიქარიშვილის დარი დიდი პოლიტიკოსები და უფლებადამცველები არ იდგნენ, არამედ იმიტომ, რომ მაშინ საქართველოს სახელმწიფო არ იყო მზად გადაწყვეტილების მისაღებად. უფრო ზუსტად, მაშინ ჯერ კიდევ იყო დრო ფიქრისა და განსჯისათვის.

დღეს ვითარება ტრაგიკულია — არაზუსტი მონაცემებით, საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქეების ათ პროცენტზე მეტი ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელია! საუბარია თინეიჯერული და ახალგაზრდული ასაკის ადამიანებზე, საქართველოს ხვალინდელ დღეზე, იმედსა და მომავალზე!!!

ნარკომანიის გამართლება თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეებით, როგორც ამას ცდილობენ პარლამენტის ზოგიერთი წევრი, სამშობლოზე შეყვარებული მწერალ-თეორეტიკოსები, გიქას „ხმაურის“, ზურას „გირჩის“, ბაიას NGO და მიშას ნაცი არის გულუბრყვილო და იაფფასიანი დემაგოგია — ნარკოტიკების მოხმარებას არ შეიძლება, ჰქონდეს და არც აქვს რაიმე საერთო არც დემოკრატიასთან და არც თავისუფლებასთან. ეს არის უკურნებელი სენი, რომელიც ძალიან ხშირად სიკვდილით მთავრდება.

ყოველმხრივ შემოწმებული, გონივრული, აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილება მისაღებია დღესვე, რაც ისედაც რთულ პრობლემას კიდევ უფრო ართულებს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი მოექსტრემისტო-დემაგოგიური საზოგადოების წევრთა გარდა, საქართველოში არის ხალხი, ვინც ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის კატეგორიული წინააღმდეგია. ისინი წარმოადგენენ მთლიანად ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს და მათი გადარწმუნება ძალიან ძნელი, შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესი იქნება.

დეკრიმინალიზაციის (ნარკოტიკის მოხმარებასა და შენახვაზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება) წინააღმდეგ მათ გააჩნიათ საკმაოდ ანგარიშგასაწევი არგუმენტები: **გაიზრდება ნარკოტიკის მომხმარებელთა და ნარკოტიკის კუსტარული მწარმოებლების რიცხვი; უკიდურესად გართულდება ნარკოტიკების შემომტანებისა და გამსაღებლების ძიების კონტროლი; გაიზრდება დაპირისპირება ნარკოტიკების მომხმარებელთა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის; საქართველო გადაიქცევა ნარკოვაჭრობის მსოფლიო ცენტრად...**

არსებობს კიდევ ერთი საკრამენტული გაუგებრობა — ვაუქმებთ პასუხისმგებლობას მოხმარებასა და შენახვაზე, მაგრამ ძალაში ვტოვებთ აკრძალვებს წარმოებასა და გასაღებაზე. სად შეიძინოს ნარკომანმა სასურველი „წამალი“? ან როგორ ვაპირებთ ყოვლად მახინჯი „ჩადების ინსტიტუტის“ გაუქმებას?

კი ბატონო, მე ვიყავი და ვრჩები ანტინარკოტიკული კანონმდებლობის შემსუბუქების მომხრედ, მაგრამ პრობლემები არსებობს და მათ ვერსად გავექცევით. იმისაც ძალიან მეეჭვება, რომ ბექა წიქარიშვილისა და მისი თემის წევრთა გონებრივი მონაცემების საზოგადოებასთან მოლაპარაკება-თანაბირები რაიმე შედეგს გამოიღებს. ეს ცხოვრებით დაბრძენებული ადამიანების (იურისტები, ექიმები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები...) მძიმე და ხანგრძლივი განსჯით გადასაწყვეტი საკითხებია. დრო კი ცოტა გვაქვს, ძალიან ცოტა.

ვიცი, ბევრი ოპონენტი გამომიჩნდება, მაგრამ ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, ნუ დამიწყებთ დამუნათებას ნარკოტიკის უვნებლობისა და ლოთობის მავნებლობაზე, მსოფლიოს რომელიღაც ქვეყანაში ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე, ნარკობიზნესის მეშვეობით საქართველოს ეკონომიკის აყვავებაზე...

თეიმურაზ ჟორიძე,
19. 05. 2018 წელი
ტელ: 593324079.

ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით უმრავლესობაში შესაძლოა, კენჭისყრა ჩატარდეს

პარლამენტის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით „ქართულ ოცნებაში“ კენჭისყრა ჩატარდეს თავისუფალ რეჟიმში, როცა უმრავლესობის უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას. თუმცა ირაკლი კობახიძე იმედს გამოთქვამს, რომ ეს საჭირო არ გახდება და პოზიციები დაახლოვდება.

„ჩვენ გვქონდა პირველი ფართო შეხვედრა ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით, უმრავლესობის ფორმატში. შეხვედრას ესწრებოდა პარტიის თავმჯდომარე. განვიხილეთ ყველა საკითხი, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ნარკოპოლიტიკასთან. გვქონდა მოცემულობა, როცა დაახლოვდა პოზიციები მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ იმის გამო, რომ ვფიქრობთ, გარკვეული საკითხების დაკონკრეტება მომავალში ხელს შეუშლის ამ საკითხებზე შეჯერებას. პრინციპები რჩება იგივე, რომ ჰუმანურობა უნდა იყოს გამოვლენილი მომხმარებელთა მიმართ, ხოლო ნარკოტიკების რეალიზაციის მიმართულებით მკაცრი პოლიტიკა იქნება გატარებული. იყო და რჩება განსხვავებული მოსაზრებები მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში. მე იმედი, მაქვს, რომ მოხერხდება პოზიციების მთლიანად დაახლოება. გამორიცხული არ არის, რომ კენჭისყრა ჩატარდეს თავისუფალ რეჟიმში, როცა უმრავლესობის უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას, თუმცა მინდა, იმედი გამოვთქვა, რომ პოზიციები მაქსიმალურად დაახლოვდება“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

რა ვიცით ქართული ვაზის და ხორბლის იშვიათი ჯიშების შესახებ?

ვაზს და ხორბალს მსოფლიოში გავრცელების ბუნებრივი არეალი გააჩნია და ეს საქართველოა. უძველესი დროიდან საქართველოს კულტურაში დანერგილია ველურად გავრცელებული **ვაზის კრიკინას** (Vitissilvestris) პროდუქტიული ჯიშები, რომლებიც ვაზის Vitis vinifera-ს სახელწოდებითაა ცნობილი. ჩვენთან ღვინოს 8000 წლის წინათ აყენებდნენ, ვაზი და ხორბალი ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სიმდიდრეა, რომელსაც სათუთი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, რაც მათ აშკარა გადაშენებისგან გადაარჩენს. ვაზის მოვლასა და მის პერსპექტივაზე მიგვითითებს ეს ფაქტი, რომ საქართველოში ცნობილი 500 ვაზის ჯიშიდან, შენარჩუნებულია 437-ზე მეტი ჯიში, რომელთა შორის 5 ენდემურია და სხვაგან ბუნებრივად არსად არ გვხვდება. ესენია — **უსახელაური, ხვანჭკარა, საფერავი, რქაწითელი, ოჯალეში,** რომ არაფერი ვთქვათ ვაზის 60-მდე ჯიშზე, რომლებიც საქართველოში მოჰყავთ უხსოვარი დროიდან. საქართველოს 9 მევენახეობის რეგიონიდან ყველაზე ძველი ღვინო დაყენებულია კახეთში. ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით **„საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“**. ქართველებთან ერთად, სტატიის ავტორები არიან მეცნიერები ამერიკიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, დანიიდან და ისრაელიდან. სტატიაში საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ახლად ჩატარებული მულტიდისციპლინარული კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 6000-5800 წლებში ე.ი. 8000 წლის წინათ აყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ღვინო სუფრის მეფეა და მის გარეშე ქართველი კაცი ვერ მოილხენს და ვერც საქვეყნოდ საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებს, მას გააჩნია კიდევ ერთი ძალიან სასარგებლო და საჭირო თვისება, ის სამკურნალო წამალია.

უხსოვარი დროიდან ვაზით მკურნალობა (ბერძნულად ამპელოთერაპია) ითვლებოდა სამკურნალო თერაპიის წესად. ვაზის მარცვალი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში, გააჩნია შარდმდენი და ოფლმდენი თვისება. ყურძნის წვენის მიღება აძლიერებს ორგანიზმს, ხელს უწყობს სისხლნაკლებობის აღდგენას და გააჩნია პროფილაქტიკური თვისება მრავალი დაავადებების მიმართ (ტუბერკულოზი, პლევრიტი, ბრონქიალური ასთმა, ღვიძლისა და თირკმლების დაავადებები და ა.შ.). ყურძნისაგან მიღებული ღვინო ატონიზირებს და უვნებელყოფს ორგანიზმს ტოქსინებისგან, სპობს ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს და დაბლა წევს ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში.

გეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, დანიიდან და ისრაელიდან. სტატიაში საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ახლად ჩატარებული მულტიდისციპლინარული კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 6000-5800 წლებში ე.ი. 8000 წლის წინათ აყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ღვინო სუფრის მეფეა და მის გარეშე ქართველი კაცი ვერ მოილხენს და ვერც საქვეყნოდ საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებს, მას გააჩნია კიდევ ერთი ძალიან სასარგებლო და საჭირო თვისება, ის სამკურნალო წამალია.

უხსოვარი დროიდან ვაზით მკურნალობა (ბერძნულად ამპელოთერაპია) ითვლებოდა სამკურნალო თერაპიის წესად. ვაზის მარცვალი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში, გააჩნია შარდმდენი და ოფლმდენი თვისება. ყურძნის წვენის მიღება აძლიერებს ორგანიზმს, ხელს უწყობს სისხლნაკლებობის აღდგენას და გააჩნია პროფილაქტიკური თვისება მრავალი დაავადებების მიმართ (ტუბერკულოზი, პლევრიტი, ბრონქიალური ასთმა, ღვიძლისა და თირკმლების დაავადებები და ა.შ.). ყურძნისაგან მიღებული ღვინო ატონიზირებს და უვნებელყოფს ორგანიზმს ტოქსინებისგან, სპობს ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს და დაბლა წევს ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში.

განსაკუთრებით სასარგებლოა წითელი ღვინო (საფერავი, ოჯალეში, ალადასტური და სხვა).

საქართველო ასევე მიჩნეულია ხორბლეული კულტურების წარმოშობის ცენტრად, მსოფლიოში არსებული ხორბლის 25 სახეობიდან 14 საქართველოშია აღწერილი და მათ შორის, ისევე როგორც ვაზის შემთხვევაში, 5 ენდემურია, რომელთა შორის „ოქროს ფონდში“ ირიცხება ხორბალი **ზანდური, კოლხური, ქართლის, ჯუკოვსკის, ტიმოფეევის** ჯიშები. მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების აზრით, ხორბლის სამშობლოდ საქართველოა მიჩნეული, მაგრამ რუსულ გამოცემებში უტიფრად მიუთითებენ დასავლეთ ევროპას (VI-II ათასწლეული ჩვენს ერამდე), ერაყს და ავღანეთს, საქართველო სრულებით ნახსენები არ არის, მაგრამ ნახსენებია სამხრეთ კავკასია (Закавказье). მოდი და გაიგე, რომელი?! აზერბაიჯანი, სომხეთი თუ საქართველო? — და ასეთი რუსული მიდგომა არა მარტო ხორბლის ბედ-იღბალთანაა დაკავშირებული, არამედ ისინი ძალიან ხშირად იქ, სადაც უნდა იწერებოდეს, ეს ქართულია, სანაცვლოდ წერენ „Закавказье“-ს. ვაზისა და ხორბლის ყველა აბორიგენული ჯიშები რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზეა გავრცელებული. საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე — რაჭა-ლეჩხუმი, მრავალი მაღალი ხარისხის ენდემური და ინტროდუცირებული ხეხილითაც არის ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გამორჩეული ქვეყანაა და დიდად ფასობს უნიკალური მცენარეებით, მათი ენდემურობით და მრავალფეროვნებით, ის მაინც ნაკლებად პოპულარიზებულია საერთაშორისო არენაზე, ხოლო ქვეყნის შიგნით ღვინის კონკურენტუნარიანობა გამოკვეთილი არ არის. ამას ვამბობ იმიტომ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მოიკოჭლებს შიდა კონკურენცია, რომ გარეთა წინააღმდეგობები იქნეს დაძლეული. ამ საკითხის მოგვარება ადვილია, მხოლოდ ინიციატივაა საჭირო.

და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, დღემდე ვერ მოინახა ქართველი, რომელიც დაინტერესებულიყო ამ უნიკალური ჯიშების პოპულარიზაციით და ღვინისა და ხორბლის ქვეყანაში დაედგათ საფერავის ან ოჯალეშის, ან კიდევ ხორბალი ზანდურისა და კოლხურის ძეგლები, ან გამოეშვათ მათი საფოსტო მარკები. ცოტა უხერხულია შედარებისათვის, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა შემდეგი: უკრაინაში, სოფელ გუკლივში, ვოლოვეცკოვის რაიონში დადგმულია მცენარე მოცვის პატარა ძეგლი, არადა, უკრაინა არ ითვლება მოცვის სამშობლოდ. 1964 წელს კი საბჭოთა კავშირში გამოუშვეს მარკა მოცვის გამოსახულებით და ამის ფონზე, ქვეყანაში, სადაც აღმოცენდა და განვითარდა ვაზი და ხორბალი, შეიქმნა პირველი ჯიშები და დაინერგა კულტურაში, სასურველი იქნებოდა ამ ეროვნული რესურსების სახელი და დიდება გვირგვინით შეემკოთ.

ვაჟა თოდუა,
პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკა-ზოოლოგიის ლაბორატორიის უფროსი

P. S. ბატონ ვაჟა თოდუას გამოქვეყნებული აქვს 90-მდე სამეცნიერო შრომა საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში. იგი 5 სამეცნიერო და სახელმძღვანელო წიგნის ავტორია. 80 წლის სწავლული, რომელიც დამსახურებულად ითვლება აკადემიკოს ნიკოლაი დუბინინის სკოლის ღირსეულ წარმომადგენლად, დღესაც აქტიურად მონაწილეობს ბოტანიკა-ზოოლოგიის ლაბორატორიის მიერ წარმოებულ ექსპერიმენტებში. მისი სტატიები და ნაშრომები აღიარებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ავტორია პოპულარული წიგნისა „ფიტოთერაპია — მკურნალობა მცენარეებით“.

11-მა ქართულმა ღვინომ პოლონეთში უმაღლესი ჯილდოები მოიპოვა

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ ღვინის საერთაშორისო კონკურსში „GALICJA VITIS - 2018“ ქართულმა ღვინოებმა უმაღლესი ჯილდოები — 2 ტროფი და 9 ოქროს მედალი მოიპოვა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, სულ კონკურსზე წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 5 კომპანიის 18 სახეობის ქართული ღვინო. უმაღლესი შეფასება მოიპოვეს შემდეგმა ღვინოებმა:

ტროფი (Grand Gold); კახური წარჩინებული, წითელი, 2013 წ. — კომპანია „ბადაგონი“; ალავერდი ტრადიციული, წითელი, 2013 წ. — კომპანია „ბადაგონი“; ოქრო (Gold), — საფერავი რეზერვი, 2010 წ. — კომპანია „ბადაგონი“; კახური წარჩინებული, თეთრი, 2014 წ. — კომპანია „ბადაგონი“; საფერავი 2016 წ. — „ვაზიანი კომპანი“; მწვანე 2016 წ. — „ვაზიანი კომპანი“; ქისი 2016 წ. — „ვაზიანი კომპანი“; საფერავი 2017 წ. — კომპანია „ასადელი“; რქაწითელი ქვევრი, 2017 — კომპანია „ასადელი“; წინანდალი 2016 წ. — „წინანდლის ძველი მარანი“; საფერავი 2016 წ. — „წინანდლის ძველი მარანი“.

აღნიშნული კონკურსი ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ეგიდით იმართება. კონკურსის ჟიურიში ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამთა ყველაიძე იყო მიწვეული. როგორც მან აღნიშნა, კონკურსი „GALICJA VITIS“ პოლონეთში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და მასშტაბურ ღონისძიებად ითვლება.

კონკურსზე სულ წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 10 ქვეყნის 400-მდე სახეობის ღვინო.

საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმი

2018 წლის 23 მაისს, 09:30 საათზე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ჩეხეთის სავაჭრო პალატის ორგანიზებით თბილისში, ჩეხეთის საელჩოში (ილია ჭავჭავაძის გამზ. 37, ნაგებობა 6) საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმი გაიმართება. ღონისძიებაში მონაწილეობას 12 ჩეხური კომპანიის წარმომადგენლები მიიღებენ.

ფორუმს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი, ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის ვიცე-პრეზიდენტი ჟირი სესტაკი და ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტომას პერნიცკი გახსნიან.

ჩეხეთის ბიზნესდელეგაციის წევრი კომპანიები წარმოადგენენ შემდეგ სფეროებს: ფიტოთერაპიული მედიკამენტების წარმოება, ჯანდაცვის ინოვაციური მეთოდები, ფარმაცევტიკა, ლოგისტიკა, სადაზღვევო სექტორი, საყოფაცხოვრებო-სარემონტო მასალების წარმოება, საბანკო სექტორი, ავტონაწილების წარმოება, ნავთობპროდუქცია და სხვ. ადგილობრივ ბიზნესწრეებთან შესახვედრად და საქმიანი მოლაპარაკებების გასამართად საქართველოში ჩეხეთიდან ბიზნესდელეგაცია ჩამოვიდა, რომელიც ჩეხური კომპანიების 20-მდე წარმომადგენლისგან შედგება.

რთულია იყო თავის-უფალი!

ფიქრები დღევანდელობაზე...

ამ ბოლო ხანებში განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყანაში არსებული უამრავი პრობლემა დამავიწყა. ნარკომანიამ რომ ბევრი, ძალიან ბევრი ახალგაზრდა სიცოცხლეს გამოასალმა, ისედაც დაცოტავებული ქართველები კიდევ უფრო დაგვაცოტავა, – ამის მომსწრე, საუბედუროდ, კარგა ხანია ვართ. ამ საშინელი შხამით დაღუპულთა რაოდენობა დღითი დღე ხომ მატულობს, მაგრამ ვინც არ დაღუპულა, და სისტემატური მომხმარებელია ამ შხამიანი ნივთიერებისა, განა ცოცხალია, განა ვარგა ადამიანად?

თბილისში მგონი საცხოვრებელი შენობა, კორპუსი არ არსებობს, თუ დიდი ჯგუფი არა ახალგაზრდებისა, ერთი ორი-სამი ნარკომანი მაინც არ ცხოვრობდეს. ის კი არადა, ახლა მოზარდებსაც მოედოთ ეს სენი, პირადად შევნიშნე და თავდაპირველად ვერ წარმოვიდგინე, თუ რატომ და რისგან იყვნენ ჩვენს სადარბაზოში შეკრებილი ბავშვები გაბრუებულები. ეს საშინელებაა! ცბიერი და მზაკვრული ომია გაჩაღებული არა მხოლოდ საქართველოში, ასე რომ იყოს, კიდევ ადვილად ეშველებოდა საქმეს! სასწაული ის არის, რომ ამ ომში გამოკვეთილი მხარეები არ ჩანან. ვინ ვის ებრძვის და რატომ კლავენ ამ შხამით ერთურთს – თითქოს გაუგებარია, მაგრამ ერთი კი ფაქტია, – მომგებიანი და მიმზიდველი გახდა ამ სასიკვდილო შხამით „თამაში“, „მოთამაშეები“, დღეს რომ რეალიზატორები იყვნენ, ხვალ თავად არიან მომხმარებლები და თქვენ წარმოიდგინეთ, ხდება უარესიც – თავად სამართლისა და კანონის მცველებიც კი აღმოჩნდებიან ხოლმე ამ მკრეხელურ თამაშში ჩართულნი!

საუბედუროდ, ნარკომანია ინფექციასავით მოედო ქვეყანას. ამის შესახებ მოგებაზე ორიენტირებული რეალიზატორები არ ფიქრობენ. არ ფიქრობენ, რომ კაცობრიობის სიკვდილ-სიცოცხლის რისკზე გადის მათი „საქმიანობა“და არც იმას აცნობიერებენ, თავადაც რომ კაცობრიობის ნაწილი არიან, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათი კარების წინაც დაიჩოქებს აქლემი, ერთხელაც იქნება და კანონი მათ საქმიანობასაც მიაგნებს და ის უბედურება, რაც ნარკოტიკების ზემოქმედებას მოაქვს მათ მიერ გაბმულ ქსელში ჩათრეულ მომხმარებლებზე, არც მათ გაუთენებთ მშვიდობიან დღეს! სანამ ამას გააცნობიერებდნენ, მანამ შხამიანი ომის გამავრცელებლები გატაცებული არიან ნარკობიზნესიდან მიღებული დიდი მოგებით, ქსელი ამ სასიკვდილო ბიზნესისა მთელ მსოფლიოშია მოდებული.

თავში ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, როგორ გახშირდა ნარკომანიის ეშხში შესული ჩვენი ახალგაზრდების სიკვდილიანობა. სად გინდა, რომ არ ნახო ნარკომანების მიერ მოხმარებული და გამოყენებული ნემსები. ღამე და დღე მათთვის სულ ერთია, იშვიათად, მაგრამ, უნახავთ კიდეც, აგზნებულ მდგომარეობაში მყოფნი ხალხმრავალ ადგილებსაც რომ არ ერიდებიან... და როგორ გგონიათ, ღამის კლუბებს არ შეაფარებენ თავს ამ საქმიანობაში ჩართული ორივე მხარე – ნარკოტიკის მომხმარებელიც და გამსაღებელიც?! ღამის კლუბები თუ რაღაც ბარები არახალი ამბავია, სოკოებივით არის გავრცელებული მთელ მსოფლიოს საუკეთესო ქალაქებში, ადრე თუ გვიან ჩვენს ქალაქსაც რომ მოედებოდა ღამის კლუბობანა, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა (იგი ხომ დემოკრატიის თანმხლები ატრიბუტია!), მაგრამ საზღვარგარეთული კინოეკრანებიდან მათთან არსებული ასეთი დაწესებულებები არცთუ ისე სამაგალითოდ და მისაბაძად გამოიყურებიან. სინამდვილეში კი, ვინ იცის, რა როგორ არის. არავითარი ცნობა არა გვაქვს მათ შესახებ, ამდენად, ვერაფერს ვიტყვით! ალბათ იგი საჭიროა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისთვის, ან იქნებ, კაპიტალიზმის განვითარებისთვის, ან ერთ-ერთი ჭანჭიკი მაინც არის ამ პროცესისა და, თქვენ როგორ ფიქრობთ, განა, სავსებით მართალიც არ არის ჩვენი ქალაქის მერი, რომელმაც ღამის ბიზნესის განვითარების პროექტი წამოაყენა? ჩვენი ახალგაზრდების ერთი ნაწილის კლუბებში გართობა არ ჯობია ღამღამობით მათ უგზო-უკვლოდ ბორიალს? საინტერესოა ჩვენი მოქალაქეების აზრი. თუმცა მე თავად, ამ მსჯელობის დროს, მივედი იმ დასკვნამდე, რომ დღისით სწავლითა და შრომით დაღლილ ახალგაზრდებს ღამის კლუბებში გართობა და „თავისუფლად ამოსუნთქვა“ უნდა შეეძლოთ (ღმერთმა მისცეთ ჯანი და ენერგია!). დიახ, ნამდვილად, სახუმარო საქმე არ არის და დიდი სიყვარულით და პატივისცემით ჩვენი ახალგაზრდებისადმი, ღამის კლუბების მომხრე ვარ, მაგრამ ეს კლუბები რაღაც სისტემას, ფორმას უნდა ექვემდებარებოდეს და, გავბედავ და ვიტყვი, რომ კონტროლსაც! ღამე მაინც ღამეა და „სიფხიზლეს თავი არ სტკივა!..“

ვმსჯელობ. რაღაცა კარგს და ნათელს მინდა, მივაგნო, მაგრამ ახლა ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგავართ – თბილისში ღამის კლუბები მუშაობენ და უამრავი ახალგაზრდა შედის იქ. დიახ, შესვლა ადვილია,. თავისუფალი და შეუზღუდავი, მთავარია, რა გამოაქვს იქიდან ჩვენს მომავალ თაობას: თავდაჯერებულობა, თავისუფალი ცხოვრების სტილი? არ ვიცი. ფსიქოლოგებმა, პედაგოგებმა, მეცნიერებმა უნდა აგვიხსნან... ჩვენ კი, რაც არ უნდა ვიმსჯელოთ, მოვიწონოთ ან დავიწუნოთ, ღამის კლუბები ალბათ მუშაობას განაგრძობენ. საქართველოში ჯერ არავის არ ალუწერია, როგორია იქ ცხოვრება, სასარგებლო, კარგი თუ ცუდი. ერთი კი ცხადია, ღამეს ყოველთვის ჰქონდა და აქვს თავისებური ხიბლი, მით უფრო ახალგაზრდებისთვის. ამ ხიბლში ნარკოტიკების გაყიდვაც და მოხმარებაც შედის. ვფიქრობ, რომ დროულია ღამის ეკონომიკაზე ზრუნვა, იგი უფრო დაარეგულირებს ღამის კლუბების საქმიანობას. ღამის კლუბები კანონის ფარგლებში უნდა მოექცეს, თორემ, ვინ იცის, რამდენი რამ ხდება იქ, არცთუ სასახელო, არცთუ სასარგებლო და მისაბაძი, რომელთა გვერდით სიტყვების – „თავისუფლებისა“ და „ადამიანის უფლებების“ ხსენებაც კი უხერხულია. მაგრამ კიდევ უფრო უხერხულია ღამის კლუბებში მოსეირნე ახალგაზრდების უსაფუძვლოდ დარბევა განსაკუთრებული, შიშისმოგვრელი ფორმებით... ვინც დამნაშავეა, კი ბატონო, მაგრამ უდანაშაულო რა დაგიშავათ?! დემოკრატიისაკენ მივდივართ, თუ...

დაეჭვებული ვზივარ და ვფიქრობ – რა არის ადამიანის უფლება, რა არის თავისუფლება? გადავხედოთ კანტსა და ჰეგელს, როგორ მსჯელობენ, როგორ ავითარებენ აზრებს თუნდაც სიტყვა „თავისუფლების“ შინაარსისა და მნიშვნელობის სრულად დადგენისათვის. თუმცა სჯობს, რომ ჩავუღრმავდეთ თავად ქართულ სიტყვას – თავისუფლება. საკუთარ თავზე დაუფლებაა თავისუფლება. საკუთარ თავს რომ დაეუფლო, დიდ ცოდნასა და განათლებასთან ერთად, კიდევ რაღაც სხვა ცოდნაა საჭირო, ეს ცოდნა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სიყვარულია! შენი ერისა და შენი სამშობლოს სიყვარული უმთავრესია და აუცილებელი, მაგრამ ფართო, ზოგადსაკაცობრიო განათლებას სხვა ერებისადმი და ქვეყნებისადმი პატივისცემაცა და მოკრძალებაც მოაქვს. რთულია, იყო თავისუფალი, მიუხედავად ამისა, მარადჟამ ახლდა საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

17 მაისის აქციების დროს, როდესაც ტელეეკრანზე დავინახე ჯგუფი ახალგაზრდებისა უცნაური ნიშნებით, დროშებით, ჟესტიკულაციებით, რომელიღაც ძველი, მეორე მსოფლიო ომზე გადაღებული ფილმიდან ნაწყვეტი მეგონა. მერე კი, ჩემს გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა, ამავე ჯგუფის წევრების სიტყვები რომ მოვისმინე: „ჩვენ ქართველი ფაშისტები ვართო!“ – ესღა გვაკლდა! ალბათ, ბევრ მაყურებელს, ამის მომსწრესა და მხილველს ჩემსავით ჭირის ოფლი დაასხამდა... ვერ წარმოვიდგინე, თუ ყველაფერი ეს საქართველოში ხდებოდა. ვინ იცის, მალე იქნებ „თანამედროვე“ მუშკეტერების ჯგუფიც მოგვევლინოს, იქნებ „ახალი „ბართლომეს ღამის“ მომხრეებიც... ასე, უკან ცქერით უნდა საქართველოს წინ იაროს?! ნუთუ, ყველანი დავიბანგეთ ნარკოტიკებით? კვლავ ეჭვიანი ფიქრები შემომესივნენ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

გულნარა სტურუა

კაცი, რომელიც გრიგოლიას აშანტაჟებდა...

„აი,მეგობრებო, ეს არის იმ კაცის ფოტო, რომელიც მემუქრებოდა და მაშანტაჟებდა, რომელიც ამდენი წელი მაცხოვრებდა საშინელ სტრესში, მისი ფოტო „რეაქციის“ ანონსშია, იხილეთ და ვეჭვობ, ამ ფოტოს რომ ნახავთ, მიხვდებით, რა უცნაური ამბავი მჭირს“, – წერს ინგა გრიგოლია სოციალურ ქსელში და იმ ადამიანის ფოტოს აქვეყნებს, რომელიც შსს-მ დააკავა.

ნათია კობერიძეს წამებითა და გაუპატიურებით ემუქრებიან

ჟურნალისტ ნათია კობერიძეს ლგბტ თემის დაცვის გამო წამებითა და გაუპატიურებით ემუქრებიან.

ჟურნალისტი კონკრეტულ პირს ასახელებს და რეაგირებას სამართალდამცველებისგან ელოდება.

შსს-ს ინფორმაციით კი ჟურნალისტის განცხადებას სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება.

უკვე გამოკითხულია ნათია კობერიძის განცხადებაში დასახელებული ყველა პირი, მათ შორის ის, ვისაც ჟურნალისტი მუქარაში ადანაშაულებს.

„გალერი“ გაიხსნა

ცნობილი გახდა, რომ ღამის კლუბი „გალერი“ გაიხსნა. საგამოძიებო მოქმედებები შენობის ორივე სართულზე დასრულდა, თუმცა ადგილზე ამ დრომდე იმყოფებიან სამართალდამცველები. კლუბის მენეჯერი აცხადებს, რომ „გალერიდან“ მტკიცებულებები არ არის ამოღებული. იგივეს აცხადებს იურისტიც. მისი თქმით, კაფედან გატანილი არ არის ისეთი სახის მტკიცებულებები რომელსაც ექნება რაიმე სახის შემხებლობა „გალერისთან“ და მის მეპატრონეებთან.

ამ დრომდე უცნობია ღამის კლუბ „ბასიანის“ გახსნის დრო. შეგახსენებთ, რომ ორივე ღამის კლუბი 12 მაისის სპეცოპარაციის შემდეგ დალუქულია.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ლეო ჩიქავა – 90

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლეო ჩიქავა დაიბადა 1928 წლის 20 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში.

მამა – ლეონტი (ლავრენტი) ჩიქავა იყო სოფელ კოკის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი. რამდენიმე წელი ამ სკოლის გამგედაც მუშაობდა.

დედა – ანეტა ნარმანია-ჩიქავა იყო მღვდლის შვილი, განათლებული და უშრეტი ენერგიის ქალბატონი.

საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ბატონმა ლეომ 1945 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა.

სტუდენტობის წლებში ბატონი ლეო მთელი გულმოდგინებითა და სერიოზულობით ეკიდებოდა თავისი სპეციალობის – ეკონომიკის ათვისების საქმეს. მას ასწავლიდნენ ისეთი სახელმოხვეჭილი მეცნიერები და პედაგოგები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები: პაატა გუგუშვილი, ვასილ ჩანტლაძე, ირაკლი მიქელაძე; პროფესორები: გიორგი გეხტმანი, ნიკოლოზ ქოიავა, კოტე ბაქრაძე, იოსებ ბაჯაძე, გიორგი გამყრელიძე, სერგო ბაქრაძე, ნიკოლოზ იაშვილი, ლუარსაბ კარბელაშვილი, არჩილ გოკიელი, შალვა ხიდაშელი, კასიანე მეგრელიძე, ვალია ბახტაძე, ერმილე ბურჭულაძე, გივი კიღურაძე, დავით გვრიტიშვილი, კირილე აქუბარდია და სხვ.

ბატონ ლეოს, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, ირჩევენ ფაკულტეტის სტუდენტთა პოლიტეკონომიის წრის, ხოლო შემდეგ ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ და უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს წევრად.

1950 წელს იგი წარჩინებით ამთავრებს უნივერსიტეტს და აბარებს გამოცდებს ასპირანტურაში პოლიტეკონომიის სპეციალობით. 1954 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი ნაშრომის ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. აქედან იწყება მათი ხანგრძლივი მეგობრობა. იმავე წელს იგი გაანაწილეს მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, პარალელურად მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში, 1955 წლიდან 1969 წლამდე იგი გადმოიყვანეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე ჯერ უფროსი მასწავლებლის, შემდეგ დოცენტისა და პროფესორის თანამდებობაზე.

1968 წელს ბატონი ლეო იცავს სადოქტორო დისერტაციას. 1969-1974 წლებში იგი მუშაობს უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგედ.

1974 წლიდან იგი კვლავ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ბრუნდება პოლიტეკონომიის კათედრის გამგის თანამდებობაზე.

1983 წელს დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში, სადაც გამოვლინდა მისი როგორც მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის ნიჭი, რაც შემდგომში კიდევ უფრო გაღრმავდა. მისი ინიციატივით შეიქმნა დემოგრაფიული კვლევის ცენტრი, ხოლო ერთ წელიწადში, 1991 წელს, აღნიშნული ცენტრის ბაზაზე აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, რომლის უცვლელი დირექტორი 2006 წლამდე იყო ბატონი ლეო ჩიქავა. ინსტიტუტში ფართოდ გაიშალა სამეცნიერო მუშაობა.

1997 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1997 წლიდან იყო მის მიერ დაფუძნებული პაატა გუგუშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, 1999 წლიდან კი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრს.

> ფართოა ბატონი ლეოს სამეცნიერო კვლევის სფერო. მისი ნაშრომები მიეკუთვნება ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, მრეწველობის, დემოგრაფიის, სოციოლოგიის და ტერმინოლოგიის პრობლემებს. იგი არის 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, აქედან – 21 მონოგრაფიის, წიგნისა და ბროშურის ავტორი.

ფართო აღიარება მოიპოვა მისმა მონოგრაფიამ: „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“. ამ ნაშრომში იგი ასაბუთებს, რომ მეცნიერული დისციპლინის ფორმულირება – „დემოგრაფია“ უმჯობესია, „დემოლოგიით“ შეიცვალოს; გვთავაზობს კონცეფციას ძირითადი დემოლოგიური კანონის შესახებ და აყალიბებს დემოლოგიურ კანონთა სისტემას, მათ არსს, მოქმედების ხასიათის, ახდენს მათ კლასიფიკაციას.

ასევე მნიშვნელოვანია მონოგრაფია – „ინოვაციური ეკონომიკა“ (2006), რომელიც ეხმიანება ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებს და მასში ორიგინალურადაა გადმოცემული ინოვაციური ეკონომიკის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები: მისი არსი, ძირითადი ნიშნები, მაჩვენებლები, დაფინანსების წყაროები, განვითარების კანონზომიერებანი. გამოთქმულია მოსაზრებები საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ძირითადი მიმართულებების შესახებ და სხვ.

> მეცნიერული სიახლეების შემცველია მისი მონოგრაფიები „არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები“ (1987), „დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში“ (2012); სახელმძღვანელოები: „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“ (1997), „საქართველოს ეკონომიკა“ (1995) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი ლეოს მიერ ტერმინოლოგიური ლექსიკონის – „ЭКОНОМИЧЕСКАЯ И ДЕМОГРАФИЧЕСКАЯ ТЕРМИНОЛОГИЯ“-ის დასრულება, რომლის შედგენა დაიწყეს, მაგრამ ვერ დაამთავრეს აკადემიკოსებმა პაატა გუგუშვილმა და ვასილ ჩანტლაძემ და რომელიც ეკონომისტების სამაგიდო წიგნია.

ბატონი ლეო იყო მისი ინიციატივით დაფუძნებული საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი, არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის, სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი და სხვ.

მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა სტუდენტთა და მეცნიერთა არაერთი თაობა, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ და საქმიანობენ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბატონი ლეო დიდი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო საქართველოს ღირსების ორდენით.

მან ქალბატონ თამარ კვეკვესქირთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი. ვაჟი – გიორგი ჩიქავა ეკონომიკის აკადემიური დოქტორია, ხოლო ქალიშვილი – მედეა ჩიქავა – მედიცინის აკადემიური დოქტორი; სიძე – ალექსანდრე სიჭინავა ეკონომიკის აკადემიური დოქტორია, ხოლო რძალი – დალი ბერულავა – მედიცინის აკადემიური დოქტორი. წარმატებით საქმიანობენ მისი შვილიშვილებიც.

სადაც კი მოღვაწეობდა ბატონი ლეო, ყველგან ავლენდა ნიჭიერებასა და გასაოცარ შრომისუნარიანობას, ორგანიზატორის პრინციპულობასა და ობიექტურობას, ადამიანურ სიკეთესა და მიმტევებლობას. ყოველივე ამის გამო მან კოლეგების, საზოგადოების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ბრწყინვალე მეგობრის, კეთილშობილი ადამიანის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და აღზრდილების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი.

რა შეემთხვევაში ამაღლდება პროფესიულ სასწავლებელთა პრესტიჟი?!

ამაღლდება თუ არა პროფესიულ სასწავლებელთა პრესტიჟი, თუკი ისინი სახელმწიფო უნივერსიტეტებს შეერწყმებიან და მათი სახელი დაერქმევათ?

განათლების მინისტრის ამ ინიციატივას სხვა ინიციატივებთან ერთად იწუნებს დიმიტრი შაშკინი. განათლების ყოფილი მინისტრი ამბობს, რომ თურმე ბავშვები იმიტომ არ მიდიან პროფსასწავლებლებში, რომ პროფესიული სასწავლებლების სახელი არ მოსწონთ და, თუკი მათ დაერქმევა თსუ-ის პროფსასწავლებელი, იქ ბავშვების ტევა აღარ იქნება. შაშკინის აზრით, ეს ისეთი უაზრობაა, რომ ამის კრიტიკაც შეუძლებელია.

„ვინმეს როდისმე გაგიგიათ პრინსტონის პროფესიული სასწავლებელი, კემბრიჯის პროფსასწავლებელი? უმაღლეს სასწავლებელს თავისი დატვირთვა აქვს“, - მიიჩნევს განათლების ყოფილი მინისტრი.

პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლება რომ საჭიროა, ამ აზრს იზიარებს განათლების პოლიტიკის მკვლევარი, პროფესორი სიმონ ჯანაშია. For.ge-სთან საუბარში ის აცხადებს, რომ უნივერსიტეტებთან შერწყმა პროფესიულ სასწავლებლებს პრესტიჟის ამაღლებაში მართლაც დაეხმარება და ხელს არ შეუშლის. თუმცა სხვა საკითხია, საჭიროა თუ არა სასწავლებლების შერწყმა, თუ უბრალოდ პრობლემის გახსნაში უნდა დავეხმაროთ უნივერსიტეტებს შერწყმის გზით იქნება თუ ზოგადად.

ამდენად, თუკი ცალკეულ შემთხვევაში წარმატებული პროფესიული სასწავლებლების უნივერსიტეტებთან შერწყმა მოხდება, ეს კარგი იქნება ორივესთვის – პროფსასწავლებლისთვისაც და უნივერსიტეტისთვისაც, ხოლო, თუ წარუმატებელი დაწესებულება მეორე დაწესებულებას შეერწყმება, რომელსაც გამოცდილება არა აქვს, ასეთი შერწყმა შედეგს ვერ მოიტანს.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლია ელიავა** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ უცხოეთში ყველა მსხვილ უნივერსიტეტს აქვს ე.წ. პროფესიული სასწავლებლები, ანუ კოლეჯები. როდესაც ჩვენში ზოგიერთები ტრაბახობენ, ჰარვარდი მაქვს დამთავრებულიო, სინამდვილეში, მათ უბრალოდ პროფესიული სკოლები აქვთ დამთავრებული. ამიტომ უნივერსიტეტებთან არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში (თუ კოლეჯებში) ტრაგიკული არაფერი არ არის. არც ის არის ტრაგიკული, კოლეჯს დავარქმევთ ამ სასწავლებლებს, თუ პროფსასწავლებლებს. ტრაგიკულია ის, რომ უნივერსიტეტებთან შერწყმის შედეგად ამ კოლეჯების მფლობელებს არ წაართვან ბიზნესი.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ჯემალ მებონიას** ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა შეურწყან პროფესიული სასწავლებლები უნივერსიტეტებს?! For.ge-სთან საუბარში ის აცხადებს, რომ საეჭვოა, ასეთი შერწყმა კარგი იდეა იყოს. მისი აზრით, უმჯობესია, უნივერსიტეტთან არსებობდეს სკოლა-ლიცეუმი, რომელშიც სასწავლო სიახლეები დაინერგება. ეს ლიცეუმი მაგალითი უნდა იყოს საშუალო სკოლებისთვის. კვალიფიკაციის ასამაღლებლად იქ უნდა მიიწვიონ მასწავლებლები, მით უმეტეს, რომ ახლა კარგი მასწავლებლების პრობლემაა.

მანანა ნოზაძე

თენგიზ უთმელიძე - სიჭაბუკის 80 წელი!

რა ახალგაზრდული ასაკი ყოფილა ეს 80 წელი!

ფეხის წვერებზე შემოუვლია მთელი მსოფლიო და დაღლა არ ეტყობა ამ ჭაბუკს!

ფეხის წვერებზე, აბა?...

ამბობენ, ფეხის წვერებზე სიარული უჩუმრად სიარულს ჰქვიაო!... ამ დროს ერთი ათად იცვითებაო ადამიანს კუნთები!

ტყუილია!... აბა, შეხედეთ ამ ჭაბუკს და მიხვდებით!...

არადა, დედამიწის ხუთივე კონტინენტი და 90 ქვეყანა შემოუვლიათ ფეხის წვერებზე და 15 ათასი კონცერტი ჩაუტარებიათ, 50 მილიონზე მეტი მაყურებელი გაუცვიფრებიათ მას და მის მეგობრებს, რომელთაც ერთი დიდებული სახელი ერქვათ – „სუხიშვილები“!

ქართულმა ცეკვამ თავისი უნიკალობით „ააფორიაქა“ მსოფლიო და ფეხის წვერებზე შემდგარმა ჭაბუკებმა და ასულებმა გააოცეს პუბლიკა:

– „...ფანტასტიკური, რომანტიკული, თვალისმომჭრელი, დაუვიწყარი ხელოვნება!...“

აღტაცებული წერდნენ და ამბობდნენ ჟურნალ-გაზეთები, რადიო-ტელევიზიები, ხალხით სავსე დარბაზები და ქუჩებში მოსიარულენი!...

და ამ აღტაცების ავტორი გახლდათ ქართველი ერის სიამაყედ გაჩენილი, სუხიშვილ-რამიშვილის საოცრად შეკრული კოლექტივი, რომელმაც ჯერ კიდევ 1945 წლის 11 ივნისს გახსნა თავისი ბიოგრაფია!

შემდეგ და შემდეგ კი... ეს, სწორედ მათ ხვდებოდნენ ოვაციებით ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერა“; უზარმაზარი „მედისონ სქუერ გარდენი“; ლონდონის ფეხზე დამდგარი, მრავალათასიანი „როიალ ალბერტ ჰოლი“ და სამეფო თეატრი „კოვენტ გარდენი“; ოვაციებში ჩაძირული ნეაპოლის „სან კარლო“ და ვენეციის „ლა ფენიჩეს“ უძველესი და ულამაზესი თეატრები. ვენის, კოპენჰაგენის, ბრიუსელის, ამსტერდამის, გლაზგოს და სიდნეის ბრწყინვალე სამეფო თეატრების აღფრთოვანებული მაყურებელი... ევროპის, ამერიკის, აზიის, ავსტრალიის ასეულობით ქალაქის მოგუგუნე საკონცერტო დარბაზები და ხალხმრავალი სტადიონები!... 1967 წელს კი, საქვეყნოდ ცნობილ მილანის „ლა-სკალას“თეატრს, ერთადერთმა ამ ფოლკლორულმა ანსამბლმა სამარადჟამოდ დაამახსოვრა თავი!

ქართველთა სიამაყეს ტაშს უკრავდნენ, ლექსებს და დითირამბებს უგალობდნენ მწერლები და პოეტები, საზოგადო მოღვაწენი და რიგითი ადამიანები:

„...ქართული ცეკვის ფეიერვერკი!“, „ფანტასტიკური კონცერტი, ელეგანტური ქორეოგრაფია“, „რიტმის, პლასტიკისა და მოძრაობის სრულყოფილება“, „დიდი ქართული ბალეტი“, „მსოფლიოს უდიდესი მოცეკვავეები“, „ქართული ბალეტი – უნიკალური ფენომენი“, „ხალხური ცეკვის პოეზია-მუსიკისა და მეტყველ მოძრაობათა ჰარმონიული ერთიანობა“, „აღმაფრთოვანებელი, თავბრუდამხვევი, განსაცვიფრებელი“, „ღმერთების ცეკვა!“...

და, როგორც ბრძანებდა გრიგოლ რობაქიძე: – „ეს ცეკვა ქართულია, მას სხვა ვერ იცეკვებს ქართველის გარდა, რასსა არ ეყოფა“

მსოფლიოში „როკვით განფენილ ქართულ გენიას“ უგალობდნენ პოეტები.

გრიშაშვილი ამბობდა:

„...და ქართველი მტერს რომ ჩეხდა,
განა კრთოდა ან ჩიოდა,
საქართველოს დასახსნელად
ომში ცეკვით მიდიოდა!“

იოსებ ნონეშვილი გაოცებულია:

„რაც კი უხსოვარ დროიდან
ჩვენს გულში ცოცხლად ანთია,
ქართველ ხალხს ქართულ ცეკვაში
ჩაუქსოვ, ჩაუხატია!“

და თუ თვალსა და ყურს გადავავლებთ ჩვენი ამ ჩანახატის დღევანდელი გმირის წიგნს „როკვით განფენილი ქართული გენია“ და მის ფოტომატიანეს „სუხიშვილებზე“, ზღვაში შეცურავ სიამაყისა!

ცნობილმა პოეტმა მზია ხეთაგურმაც უძღვნა ლექსები მას:

„...შენ ქართულ ცეკვას დაუჩოქე და
შეაბერდი,
ვით ბრძოლის ველზე, არასოდეს
დაგიკვნესია,
თვალთა ნაპერწკლებს ხანჯლებივით
ცეცხლად აფრქვევდი,
თუმც საავკაცოდ სიტყვა არსად
აგიხსენებია!“

დიახ, ლექსთა კორიანტელი, რომელიც გულის სითბოდ და საღიმილოდ მოვიყვანეთ აქ!

დიახ, სიტყვა საავკაცოდ არასოდეს აუხსენებია აწ უკვე 80 წლის ჭაბუკს და არც არასოდეს იკადრებდა ავსა და უპრიანს ცრებზე შემდგარი...

ჯერ კიდევ 18 წლისა იყო, მოსკოვის სტუდენტთა და ახალგაზრდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალზე რომ ამოარჩიეს დიდმა ნინომ და ილიკომ და... შეაბიჯა ყმაწილმა „სუხიშვილებში“!

...და მას მერე, მთელი 16 წელი, „ფეხის წვერებით“ შემოუარა მთელ „სამყაროს“!

ოღონდ, ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით პოეტს, როცა ამბობს: – „ქართულ ცეკვას დაუჩოქე და შეაბერდი!“

კი, ბატონო, დაუჩოქა ქართულ ცეკვას და თავისი კალმითა და ფიქრით დღესაც იქ არის, მაგრამ... მასთან რა უნდა სიბერეს? ისევ ისეთივე ჭაბუკია, როგორიც იმ „ორმოცდაათიანებში“, როცა „ყადაღა დაადეს“ ქართული ცეკვის ჯადოქრებმა!

... ო, რა ჩქარა გარბიან წლები!... თენგიზ უთმელიძე უკვე 80 წლის გამხდარა!... 24 მაისს დაბადებული ყმაწვილი კვლავ მაისის მზესავით ანათებს და ემსახურება ქართულ კულტურას!

და ამ ოთხმოცი წლის ჭაბუკს მისმა თანაკურსელმა ჟურნალისტებმა გვინდა, მივულოცოთ სიჭაბუკის წლები!



თენგიზ უთმელიძის „სარეკორდო“ ნახტომი



ცეკვა „ქართული“ – ნინო რამიშვილი და თენგიზ უთმელიძე

ზაურ ფიფია
რამინ ჭელიძე

რედაქტორისგან:

ამ რამდენიმე დღის წინათ გამოჩენილმა ჟურნალისტმა და მოცეკვავემ თენგიზ უთმელიძემ კიდევ ერთი შთამბეჭდავი გამოფენით გაგვახარა. ვინც ეს დიდებული „შუძით წერა“ იხილა, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ქართული ქორეოგრაფია, ქართული ფოლკლორი, როკვით განფენილი ქართველი ხალხის გენია მსოფლიო კულტურის შედევრი იყო, არის და იქნება.

გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს! ვამრავლოთ ერი და გლომად აღვუზარდოთ სიძულვილით და ომით გადავსებულ სამყაროს სუხიშვილები და რამიშვილები...

თენგიზ უთმელიძეც ხომ ერთი რიგითი სუხიშვილელია, უფალმა მშვენიერება და ნიჭიერება რომ დაანათლა, ისეთი მშვენიერება, რომელიც აუცილებლად გადაარჩენს სამყაროს!

გილოცავთ, სულით და ხორცით ლამაზო კაცო!

◎ საით მივექანებით?

დემოგრაფიული კრიზისი 25 წელი გაგრძელდება

საქართველო დემოგრაფიული კოლაფსისკენ მიექანება და რაც ყველაზე სამწუხაროა, ვითარება 25 წელი არ გამოსწორდება. ამ დროს მეზობელ ქვეყნებში მატებაა და საკმაოდ თვალში საცემიც. საერთოდ კი, საქართველო შობადობის მხრივ მსოფლიოში 174-ე ადგილზეა.

გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგნოზით, 2050 წლისათვის **საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება. მოსახლეობა 28%-ით შემცირდება, რაც 1 170 000 ადამიანს შეადგენს.** ხანდაზმულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს ბავშვთა რაოდენობას. ამ დროს საპირისპირო ვითარებაა სამეზობლოში. აზერბაიჯანის მოსახლეობა – 33%-ით, ხოლო სომხეთის მოსახლეობა 7%-ით იზრდება.

ცალკე პრობლემაა ერის დაბერება. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით, მეზობელ ქვეყნებს – სომხეთს – 6%-ით, ხოლო აზერბაიჯანს 14%-ით ვუსწრებთ, თურქეთს 11%-ით. 2017 წლის 6 თვის მონაცემებით, სიკვდილიანობის მაჩვენებელი შობადობას აღემატება. **ქვეყნებს შორის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების კუთხით, საქართველო მე-16 ადგილზეა, შობადობით კი – 174-ე ადგილზე.**

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დიმიტრი ხუნდაძე ამბობს, რომ ამ სურათით კავკასიაში დისბალანსი შეინიშნება. „თუ კავკასიაში ყოველი მესამე მოქალაქე ქართველი იყო, დღეს ყოველი მეექვსეა. ჩვენი მეზობლების რაოდენობის ზრდას მივესალმებით, თუმცა ეს მონაცემები რეგიონალურ ჭრილში საკმაოდ საყურადღებოა“, – განაცხადა ხუნდაძემ.



დემოგრაფიული ფონდის ხელმძღვანელი თამარ ჩიბურდანიძე აღნიშნავს, რომ დემოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემები ქვეყანაში უკვე 30 წელია, მძვინვარებს და მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლება აღმოჩნდა გამონაკლისი, რომელმაც ამ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა 2013 წლიდან დაიწყო, თუმცა რეალურ შედეგებამდე ჯერ შორია.

„დემოგრაფიული მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა ქვეყანაში, რადგან უკვე 30 წელია, მძვინვარებს ეს პრობლემები ქვეყანაში და არც ერთმა ხელისუფლებამ ამ პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა არ დაიწყო. გარდაუვალი დემოგრაფიული კრიზისია, რასაც წინასწარმეტყველებდნენ 10-20 წლის წინათ, რაზეც საუბრობდა გაეროს მოსახლეობის ფონდი, ფაქტობრივად, ჩვენ ამ კრიზისში უკვე შევედით. ეს არის შობადობის გარდაუვალი კლების პერიოდი. 80-იან წლებში საქართველოში 450 000 გოგო დაიბადა, ხოლო 90-იან წლებში – მათი ნახევარი, 225 000. სწორედ ეს თაობა შედის ასაკში. საიდან მოვიყვანოთ ეს დაუბადებული ახალგაზრდები, რომლებიც ვერ გაჩნდნენ 90-იან წლებში? სწორედ ამიტომ შევედით დემოგრაფიულ კრიზისში, რომელიც გასტანს ერთი დემოგრაფიული თაობა, ანუ 25-27 წელი“, - განაცხადა თამარ ჩიბურდანიძემ.

ხელისუფლება ახლა ცდილობს რაიმე გზა გამონახოს არსებული რთული ვითარებიდან გამოსასვლელად. პარლამენტში უკვე წარდგენილია მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის განსაზღვრისა და მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა.

ცვლილებების მიხედვით, მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი ენიჭება პირს, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი შვილი. სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსდება მრავალშვილიანი ოჯახის ელექტროენერგიის სუბსიდია: მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი ბავშვი, ელექტროენერგიის სუბსიდიის სახით მიიღებს 20 ლარს ყოველთვიურად, ხოლო ხუთი ან მეტშვილიანი ოჯახი მეხუთე და მომდევნო ბავშვზე – დამატებით 10-10 ლარს.

2014 წლის აღწერით საქართველოში 12 369 ოჯახია, სადაც 4 და მეტი არასრულწლოვანი ცხოვრობს. „საქართველოში 9 316 ოჯახია, სადაც ოთხი ბავშვი ცხოვრობს. მათ ელექტროენერგიის მოხმარებაზე თვეში 20-ლარიანი შეღავათი ექნებათ, რაც ჯამში, 2 235 840 ლარია. 5-ბავშვიანი ოჯახები კი 2 190-ია. მათ თვეში 30 ლარის შეღავათი (20 ლარს + 10 ლარი მე-5 ბავშვისთვის) ექნებათ, რაც მთლიანობაში 788 400 ლარს შეადგენს. 6 ბავშვისგან შემდგარი ოჯახი 583-ია, ისინი თვეში 40-ლარიან შეღავათს მიიღებენ, რაც მთლიანობაში 280 000 ლარია, ხოლო 7 და მეტშვილიანი ოჯახები 280-ია და ჯამში თანხა 184 560 ლარს შეადგენს. ყველა კატეგორიაზე თანხის საერთო მოცულობა დაახლოებით 3 489 000 ლარია“, – განაცხადა პარლამენტის სხდომაზე დიმიტრი ხუნდაძემ.

ბექა დანელია

ასე ამბობდა ჩონსკო ჩუჩოლი

„მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

იმის თაობაზე, თუ როგორ წარვემატოთ

თუ სწორად დაწერის სწავლა გინდა, სწორად აზროვნება ეცადე.

* * *

ფორმა რომ შეინარჩუნო, აუცილებელია სიმშვიდე, კარგი საკვები და, რაც მთავარია, არავითარი სპორტი.

* * *

მუდმივი ძალისხმევანი, და არა ძალა ან გონება — აი თქვენი პოტენციალის გახსნის გასაღები.

* * *

კარგი რამ ძვირი ღირს, თავისუფლება, მაგალითად. კარგი რამეებისთვის კი ბრძოლაა საჭირო. ერთ გაბრძოლებას, სულ რომ არ იბრძოლო, ისა სჯობს.

* * *

ჩვენი ცხოვრება ცალმხრივი მოძრაობის ქუჩასა ჰგავს და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შენი შესახვევი არ გამოგეპაროს, უკან დასაბრუნებლად გზა უკვე აღარ გექნება.

* * *

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ დღეს ჩვენი საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონები ვართ და ყველა იმ განსაცდელის დაძლევის ძალა შეგვწევს, რაც ჩვენს წილად გვერგო და ვიდრე წმინდად გვჯერა ჩვენი საქმე და გამარჯვების მოსაპოვებლად ჩვენი ნებისყოფა უდრეკია, გამარჯვებას ვერცვინ ვერ წაგვართმევს.

* * *

თუ ადამიანს მოპარვის თავი არა აქვს, იმას დიდ რასმე საქმეს ნუ მოსთხოვ.

* * *

უსარგებლოა ლაპარაკი: „ჩვენ ყველაფერს ვიზამთ, რაც შეგვიძლია“. არადა, ის უნდა ქნა, რაც აუცილებელია!

* * *

ისწავლეთ ისტორია, აუცილებლად ისწავლეთ ისტორია. სწორედ ისტორიაშია პოლიტიკური გამჭრიახობისა თუ შორსმჭვრეტელობის ყველა საიდუმლოება.

* * *

შევარდენი მაღლა ადის, როცა ქარის საწინააღმდეგოდ მიფრინავს და არა, როცა ქარს მისდევს.

* * *

არცროდის არ დაიგვიანოთ სადილზე, მოსწიეთ ჰავანური სიგარა და სვით სომხური კონიაკი.

* * *

წამი რა არის, წამიც არ დაკარგოთ, ერთბაშად და გაბედულად დაიკავეთ ადგილი ბრძოლის ველზე, რომლის სახელია ცხოვრება. არ დაკმაყოფილდეთ იმით, რაც გაქვთ, არასოდეს არ შეურიგდეთ დამარცხებას, სამყარო ხომ იმისთვის არსებობს, რათა დავიპყროთ.

ადამიანური არსის თაობაზე

ფეხში მოხვედრილი ტყვია მამაც ადამიანს ლაჩარსა ხდის; თავში დარტყმისგან ბრძენი ტუტუცდება. სადღაც წავიკითხე, ორი ჭიქა აბსენტი სრულიად საკმარისი ყოფილა, რათა პატიოსანი ადამიანი თაღლითად გადაიქცეს. მაშასადამე, სულს ჯერეთ კიდევ საბოლოოდ არ გაუმარჯვია ხორცზე.

* * *

ხალხი, რომელსაც სინდისი არა აქვს, უსულო ხალხია, რომელსაც გადარჩენა არ ძალუძს.

* * *

ადამიანმა ყველაზე გააფართოვა თავისი ძალაუფლება, თავისი თავის გარდა.

* * *

ადამიანის ცხოვრება უნდა ეცვას ან აზრის, ან მოქმედების ჯვარზე.

* * *

კაცობრიობა თითქოს ქარტეხილში მოხვედრილი გემია. კომპასი დაზიანებულია. საზღვაო რუკები უიმედოდ მოძველებულია, კაპიტანი ქარტეხილმა გემიდან გადააგდო და მეზღვაურნი რიგრიგობით ცვლიან კაპიტანს, თანაც საჭის ყოველი შემობრუნება უნდა შეთანხმდეს არა მარტო ეკიპაჟის წევრებთან, არამედ მგზავრებთანაც, რომელთაც გემბანზე თვლა არა აქვთ და კიდევ ემატებიან.

* * *

ისტორიის მთავარი გაკვეთილი ის არის, რომ კაცობრიობა ჭკუას ვერა სწავლობს.

* * *

მკაცრ მოთხოვნათა თანახმად, ადამიანები სამ კლასად იყოფიან: ისინი, ვინც საშინლად დაკავებულია, ისინი, ვისაც საშინლად ეშინია და ისინი, ვინც საშინლად მოწყენილია.

* * *

ჩვენ ვცხოვრობთ დიდი მოვლენებისა და პატარა ადამიანების ხანაში.

* * *

სანამ დედამიწა ბრუნავს, არც არასოდეს ისე არ მოხდება, რომ ადამიანს ყველაფერი საკმარისად ჰქონდეს, რაც კი რამ სჭირდება, რაც მეტი ეძლევა, ადამიანს მით უფრო მეტი უნდა.

* * *

ქვეყნიერებას თუ შემოივლით, აღმოაჩენთ, რომ ის უმთავრესად ორი სახის ადამიანებად იყოფა — ერთნი ისინი არიან, ვინც ამბობს: „ვითომ სხვა რატომ არ აკეთებს ამას?“ ხოლო მეორენი ამბობენ: „ვნახოთ ერთი, ვინ შეძლებს ამის კეთებაში ჩემთვის ხელის შეშლას“.

* * *

ადამიანს იმის ქმნის უნარი აქვს, რის ქმნაც მართებს, მიუხედავად ამა თუ იმ პირადი შედეგისა, მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა და საშიშროებისა, ზემოქმედება სრულიად კაცობრიული ზნეობის საფუძველია.

ომზე

დასავლეთში ყოველი ჯარი მეტისმეტად დიდი იყო ყოველი იქაური ქვეყნისთვის, აღმოსავლეთში, პირიქით, ყოველი ქვეყანა იყო დიდი ყოველი იქაური ჯარისთვის.

* * *

ომის დროს სიმართლე იმდენად ძვირფასი რამ არის, რომ სიცრუის ყარაულნი უნდა იცავდნენ.

* * *

ჰიტლერი თუ ჯოჯოხეთში შეიჭრება, ეგრევე ხოტბას შევასხამ ეშმაკს.

* * *

სამხედრო ტყვე ის არის, ვინც თავდაპირველად თქვენს მოკვლას ცდილობს და ხელი ეცარება, ხოლო მერე გეხვეწებათ, ნუ მომკლავთო.

* * *

ერთი სასმისი შამპანური გულს წამოგიწევთ, ოცობოდობას, ანუ ფანტაზი-

ას გაგითამაშებთ და იუმორის, ანუ ხუმარსიტყვის გრძნობას გაგიღვიძებთ. თუმცა მთელი ერთი ბოთლისგან უთუოდ თავბრუ დაგეხვევათ, თვალთ დაგიბნელდებათ, ხოლო ფეხები მოგეცელებათ. დაახლოებით ასევე მოქმედებს ომიც, რათა ნამდვილად ვიგრძნოთ გემო ერთისაც და მეორისაც, ყველაფერს ჯობია დაჭაშნიკება და არა, მოყირჭება.

* * *

ომის მოგება თუ გინდა, აუცილებელია ძველი ჭეშმარიტების დახსომება: მოჩქარეს მოუგვიანდესო.

* * *

ყოველთვის იმ აზრზე ვიყავი, რომ ჯერეთ დამარცხებულთ უნდა განიცადონ დამარცხება, და გამარჯვებულნი მხოლოდ მერე განიარაღდნენ.

* * *

ომი ის უბედურებაა, როცა სხვათა მიზნებისთვის სავსებით უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან.

* * *

ომში ფორტუნა ყოველგვარ რიდე-საბურველს იძარცვავს და დედიშობილა გვევლინება. თქვენ შეგიძლიათ, რომ გაიაროთ რომელიმე ხის მარჯვნივ ან მარცხნივ და ამაზეა დამოკიდებული, სჯარისო კორპუსის მეთაურად დაგნიშნავენ თუ შინ გიკრავენ თავს დასახიჩრებულსა და სამუდამოდ დადამბლავებულს.

* * *

უარესი, ვიდრე ომში მოკავშირეებთან ერთად წასვლაა, მხოლოდ ერთი რამ არის — ომში უიმათოდ წასვლა.

* * *

ომი უმეტესად უხეშ შეცდომათა კატალოგია.

* * *

ომი ისერიგად ნამეტანი სახუმარო საქმე არ არის, რომ გენერლებს ვანდოთ.

* * *

ბრძოლა სახელიმილიანი ღირს. ეს თუ არ შეგიძლიათ, მაშინ კბილები დაკრიჭეთ, მაგრამ ამასაც თუ ვერ ახერხებთ, ნუღარ ეჩრებით მაინც.

* * *

აი, რატომ არის, რომ იმათ, ვინც კარგად ომობს, გამარჯვების თავიც აქვთ, თითქმის არასოდეს არც შერიგება შეუძლიათ და არც შეთანხმებულად ცხოვრება, ხოლო ისინი, ვისაც მშვიდობიანი ცხოვრება აქვს არჩეული, ვერასდროს ომს ვერ მოიგებენ.

* * *

ომში, როგორც რომ საგარეო პოლიტიკასა და ყოველ დანარჩენ საქმეში, ყოველგვარ უპირატესობას ისინი აღწევენ, ვინც მიმზიდველ თუ არამიმზიდველ შესაძლებლობათაგან ყველაზე მთავარს ირჩევს.

* * *

მეორე მსოფლიო ომი სასტიკი და ბრწყინვალე ომიდან სასტიკ და საზიზღარ ომად გადაიქცა, უიმედოდ წახდა და ამაში დამნაშავენი არიან დემოკრატია და მეცნიერება.

* * *

არასოდეს არ შეიძლება სრულად იმაში დარწმუნება, რომ ომი გარდაუვალია, თუ ერთი მხარე მტკიცედ გადაწყვეტს ბოლომდე დათმობას.

(გაგრძელება იქნება)



ათიდან ცხრა კაცი დარწმუნებულია, რომ ნაპირზე დგომისა და წყალწაღებულის მშვიდად ცქერის უფლება აქვს.

მშვიდობისმყოფელი ის არის, ვინც ნიანგს იმ იმედით აჭმევს, რაკი გულს მოუგებს, მე სულ ბოლოს შემჭამსო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №102-107

სანამ ფესტივალი გაიხსნებოდეს

31 მაისს თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნება, წიგნის მოყვარულთა შორის ფესტივალი მართლაც დიდი მოვლენაა და ყოველწლიურად ათობით ქართული თუ უცხოური გამომცემლობების საუკეთესო პროდუქციის გაცნობის საშუალებას გვაძლევს. სხვადასხვა გამომცემლობების ათასგვარი თემატიკის მიხედვით გაფორმებულ სტენდებზე ყველა ასაკისა და გემოვნების მკითხველს შეუძლია მისთვის სასურველი ბეჭდვითი გამოცემის, აუდიოვიდეომასალის, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ალბომების ხილვა და შეძენა.

გამომცემლობები – „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ უკვე წლებია, ერთ-ერთ საუკეთესო გამომცემლობებად ითვლება არამარტო ქართულ სივრცეში, არამედ საზღვარგარეთაც. შესანიშნავი დიზაინი, მაღალი პოლიგრაფიული დონე, ასორტიმენტის მრავალფეროვნება, სიახლეები, უნიკალური რარიტეტული გამოცემები და რაც წიგნის მოყვარულთათვის ყველაზე საინტერესოა – მისაღები ფასები. წლეულსაც გამომცემლობები „ინტელექტი“ და „არტანუჯი“, რომელთა სტენდებსაც ფესტივალის დროს უამრავი წიგნის მოყვარული სტუმრობს, მეტად საინტერესო გამოცემებით წარდგება. აი, რამდენიმე მათგანი;

„ინტელექტის“ მიერ გამოცემული ცნობილი მწერლის **ნაირა გელაშვილის** ორი რომანი კარგი შენაძენი იქნება ქართველი საზოგადოებისთვის. ერთ-ერთი გახლავთ გახმაურებული რომანი **„დედის ოთახი“**, ეს არის რომანი-იგავი, რომანი-მისტერია, რომელიც მკითხველში აღძრავს ადამიანური ყოფიერების საიდუმლო განცდას. საიდუმლოსი, რომლის შემადგენელი ნაწილებია ყველა და ყველაფერი, მათ შორის ოჯახი, შვილები, მშობლები, დაძმობა და მეგობრობა. ამიტომაც, არ კარგავს დგება. აი, რამდენიმე მათგანი;

„ინტელექტის“ მიერ გამოცემული ცნობილი მწერლის **ნაირა გელაშვილის** ორი რომანი კარგი შენაძენი იქნება ქართველი საზოგადოებისთვის. ერთ-ერთი გახლავთ გახმაურებული რომანი **„დედის ოთახი“**, ეს არის რომანი-იგავი, რომანი-მისტერია, რომელიც მკითხველში აღძრავს ადამიანური ყოფიერების საიდუმლო განცდას. საიდუმლოსი, რომლის შემადგენელი ნაწილებია ყველა და ყველაფერი, მათ შორის ოჯახი, შვილები, მშობლები, დაძმობა და მეგობრობა. ამიტომაც, არ კარგავს

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ წარმოგიდგენთ

მე-20 საუკუნის მიწურულს დაწერილი ეს ნაწარმოები პოპულარობას და აქტუალობას.

მეორე წიგნი ეთმობა რომანს – **„ჩვენი გრძელი ამბავი“**, რომელიც ავტორმა მხატვრულ-დოკუმენტური პროზით წარმოგვიდგინა. აქ ვირტუოზული ოსტატობითაა გამოკვეთილი პერსონაჟების ერთდროულად იუმორითა და თანაგრძნობით გამსჭვალული ბედისწერის შტრიხები. ეპიკურ ნაკადშია ჩართული ისტორიული, ლიტერატურული თუ მითოლოგიური ამბები, რაც საშუალებას გვაძლევს ჩვენ თვალწინ გაცოცხლდეს არა მხოლოდ ერთი საგვარეულოს წევრების, არამედ მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი.

გამომცემლობა მკითხველს სთავაზობს **გურამ მეგრელიშვილის** ახალ წიგნს **„საძართველოს ალტერნატიული რუკა“**, ეს მართლაც ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი წიგნია სხვადასხვა ნოველების კრიალოსნად აკინძული, რეალური სამყარო თუ ავტორის სურვილი როგორი საქართველო სურს. თქვენ წინაშე ცოცხლდებიან რეალური პიროვნებები, ადგილები, მოვლენები მწერლის ფანტაზიის განსხვავებული რეალობებით, სურვილებით, როგორი სამშობლო შეიძლება გვქონდეს. თითქოს მისტიკური, ულევი ფანტაზიით შეჯერებული, არარსებული, მაგრამ სასურველი – სვანეთში ათასობით კერძო სასტუმროები და ულტრათანამედროვე კაფეები, ათიათასობით ტურისტი, ნიქოზში გამავალი ტრამვაი და ხაშურში დისნეილენდის ფილიალი. ქართულ ხასიათთან შერწყმული ევროპული ცივილიზაცია, ორიგინალური მიგნებაა ტექსტებში გამოყენებული კოდები, რომლის სკანირებითაც შეგიძლიათ გააცოცხლოთ ვიზუალური მასალა, რაც სპეციალური აღნიშვნით ცალკეა გამოტანილი.

სიახლეა უცხოეთში ბესტსელერად ქცეული **ვიქტორ ეროფეევის** ავტობიოგრაფიული რომანი **„მამაჩემი კარგი სტალინი“**, ავტორის შემოქმედებას საბჭოთა კავშირში 1988 წლამდე არ ბეჭდავდნენ, სამაგიეროდ, ძალზე პოპულარული იყო უცხოეთში. მეამბოხე ავტორის ნაწარმოებებში ჩანს, თუ როგორ კრიტიკულადაა განწყობილი ცნობილი ნომენკლატურული მაღალჩინოსნის ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდა რუსი ხალხისა და საზოგადოებისადმი. 70 წლის მწერალი რამდენიმე დღის წინათ ეწვია საქართველოს და „ინტელექტის“ მიერ გამოცემული რომანის წარდგინებასაც დაესწრო.

ნობელიანტი მწერლის **ივან ბუნინის** რომანი **„არსენიევის ცხოვრება“** ავტორის ემიგრაციაში ყოფნის დროს დაიწერა. წიგნი ავტობიოგარფიულ შტრიხებს ატარებს. მისი სტილი დაძაბული, ექსპრესიული მონოლოგია, შეჯერებული ფილოსოფიური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული რეფლექსებით. რომანის მთავარი გმირი – ალექსეი არსენიევი საკუთარ თავგადასავალს ყვება. რომანში სრულიად ახალი ფერებით და ხმებითაა ნაჩვენები მწერლის ჩამოყალიბების დრამატული პროცესი. რომანი, რომელმაც აღიარება გამოსვლისთანავე მოიპოვა (პირველი ნაწილი 1927 წელს გამოქვეყნდა), დღესაც რუსული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წიგნადაა აღიარებული.

უილიამ ფოლკნერის რომანი **„ველური პალმები“**, რომელიც გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა, იმ სიყვარულის ამბავია, რომლის გადასარჩენადაც გმირები დამყაყებული ყოფიდან თავის დაღწევას ლამობენ. თუმცა ბედისწერას ვერც ისინი გაურბიან – ამავე წიგნის ორი სხვა პერსონაჟის მსგავსად. ამ ორი წყვილის თავგადასავალი პარალელურად ვითარდება, ისინი ერთმანეთს რაღაცით ჰგვანან და ენათესავებიან, მაგრამ სრულიად განსხვავდებიან კიდეც. ორივე შემთხვევაში იკვეთება დანაშაულისა და სასჯელის თემა, რომანი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გაძლებით, სულის სიმტკიცის შენარჩუნებით გარდაუვალთან პირისპირ დარჩენილი ადამიანების ხსნა.

მამუკა ვაშაკიძე

„დაკარგული მელოდია“ – გადაღებები იწყება

23 მაისს სასტუმრო „სტამბაში“ მხატვრული ფილმის „დაკარგული მელოდია“ გადაღებების მოსამზადებელი პერიოდის დაწყებასთან დაავშირებით პრესკონფერენცია გაიმართება.

საქართველოში სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩოსა და პირადად ელჩ რუდოლფ მიხალკას ინიციატივით, საქართველოს კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მხატვრული ფილმის „დავიწყებული მელოდია“ მოსამზადებელი სამუშაოები იწყება.

ეს არის ფილმი მდიდარი სლოვაკელი ბიზნესმენის შვილიშვილზე, რომელიც მისთვის უცნობ ქვეყანაში – საქართველოში ბაბუის უკანასკნელი სურვილის საიდუმლოს გასარკვევად მიემგზავრება.



„ჩემთვის საქართველო არის, როგორც ქალი, რომელიც გიყვარს და რომელიც აღგაფრთოვანებს. ფილმის იდეა: მოვყვეთ სიყვარულის შესახებ, ვაჩვენოთ ევროპელის თვალით დანახული საქართველოს სილამაზე. საქართველო ზღაპრული ქვეყანაა თავისი განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით, რაც ფილმშიც კარგად იქნება ნაჩვენები. უცნობ ქვეყანაში მოხვედრილი სლოვაკისთვის თავს გადამხდარი ყველა მოვლენა სხვანაირად, უფრო მხიარულად და დამაინტრიგებლად აღიქმება.

სიუჟეტი, რომელიც ფილმს საფუძვლად დაედო – გამოგონილია. იდეა საქართველოში სლოვაკეთის სრულუფლებიან ელჩს, ბატონ რუდოლფ მიხალკას დაებადა. მისთვის ფილმი – ეს არის ერთგვარი ჟესტი საქართველოსა და სლოვაკეთისადმი მისი პატივისცემისა და სიყვარულის გამოსახატავად“, – აცხადებს ფილმის პროდიუსერი **რინგაილე ლესჩინსკინე**.

აღსანიშნავია, რომ რინგაილე ლესჩინსკინე ლიტვაში, საქართველოში, ბელორუსიაში, უკრაინაში, ლატვიაში, ესტონეთში, რუმინეთში, საფრანგეთსა და რუსეთში 200-მდე კომერციული პროექტის პროდიუსერია. იყო ასევე 10-მდე სატელევიზიო სერიალისა და 3 მოკლემეტრაჟიანი ფილმის პროდიუსერიც. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში პროექტებს, რომლებზეც რინგაილე ლესჩინსკინეს უმუშავია, საერთაშორისო ფესტივალებზე 50-ზე მეტი აღიარება და ჯილდო მიუღია, მათ შორის არის კანის საერთაშორისო ფესტივალი და Golden Hammer.

„მთავარი მიზანი, რა თქმა უნდა, არის კარგი, ხარისხიანი პროდუქტის შექმნა, რომელიც მაყურებელს შეუყვარდება. ფილმი – ეს უდავოდ დიდი პასუხისმგებლობაა როგორც მაყურებლის, ისე სპონსორების წინაშე, განსაკუთრებით კი, როდესაც ეს არის ქართული კინო და შენ ვალდებული ხარ, დაიცვა ქართული კინემატოგრაფიის ტრადიციები. თუმცა, არსებობს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაც – განვავითაროთ საქართველო ტურისტული მიმართულებით. ჩვენ რინგაილესთან ერთად გვაქვს მსგავს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება. პროექტზე „სიყვარული აქცენტებით“ მე მარკეტინგსა და რეკლამაზე პასუხისმგებელ სამუშაო ჯგუფს ვხელმძღვანელობდი, პროექტზე „საზღვრებს გარეშე“ – ერთ-ერთი პროდიუსერი ვიყავი, რინგაილე ცოტა ხნის წინათ მონაწილეობდა პროექტში „მეექვსემილიონე ტურისტი“. ვისაც ჯერ კიდევ არ უნახავს ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი, აუცილებლად ღირს ნახვა.

მაგრამ ამჯერად ჩვენ ვაკეთებთ კინოს, რომელიც ძირითადად ამერიკასა და ევროპისკენ არის მიმართული, სწორედ ამ მიზეზით, ჩვენ ევროპიდან და ამერიკიდან პირველი დონის ვარსკვლავებს ვიწვევთ. მოცემულ პროექტში ქალის მთავარი როლის შემსრულებლის გამოსავლენად ღია კასტინგი გვინდა გამოვაცხადოთ. დარწმუნებული ვარ, საქართველოში გამოჩნდება ახალი სახე, ახალგაზრდა დებიუტანტი მსახიობი, რომელიც თავისთავად ცალკე მოვლენად იქცევა. ჩვენ ვიწვევთ ყველა მსურველს, თავისი ნიჭის გამოსავლენად კასტინგში მიიღონ მონაწილეობა. პირობები და მოთხოვნები ჩვენს ინსტაგრამზე უახლოეს პერიოდში განთავსდება“, – განმარტავს პროდიუსერი **ირაკლი როდონაია**.

ფილმის მომზადებასა და გადაღებებში აქტიურ მონაწილეობას თბილისის მერია იღებს, რომელიც თბილისის მერის კახი კალაძის სახით არის წარმოდგენილი. იგი პირველად შეასრულებს ფილმში ეპიზოდურ როლს ახალგაზრდა და ენერგიული მერისა, რომელსაც სხვადასხვა პრობლემის გადაჭრა სწრაფად და ეფექტურად შეუძლია. თბილისში გადაღებების ორგანიზებაში მერიის მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერა იქნება აღმოჩენილი. პროექტი, როგორც პოლიტიკურად, კულტურულად და ეკონომიკურად, ისე ტურისტული კუთხითაც ბევრს ნიშნავს. ერთ-ერთ მიზანს საქართველოს, როგორც ევროპული ღირებულებების მქონე ქვეყნის, დასავლეთის პარტნიორობის ჭრილში განვითარება წარმოადგენს. ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის ფილმი საქართველოს კულტურის ერთგვარი ელჩი იქნება.

ჭიდაობა

„კლასიკოსთა“ ხუთი ჯილდო

სპორტიელში დასრულებულ ჭაბუკ ფალავანთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ხუთი მედალი მოიპოვეს. ამდენივე ჯილდო მოისვეჭეს „კლასიკოსებმა“, მათ შორის სამი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ დიმიტრი ხაჩიძე (48), გიორგი თოხაძე (51) და გიორგი ცოფურაშვილი (80), მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო გიორგი ჩხიკვაძემ (60), ხოლო მათე გოქაძე (110) მესამე ადგილს დასჯერდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა 118 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს რუსების (176 ქულა) შემდეგ, 117 ქულით კი მესამეზე თურქები გავიდნენ.

საქართველოს ნაკრებს პირველი ოქროს მედალი ხაჩიძემ მოუტანა, რომელმაც სამიდან ორი შეხვედრა წმინდად მოიგო: ზედიზედ დაამარცხა უნგრელი გაბორ კოვაჩი (9:0), სომეხი გარნიკ ჰოვანესიანი (12:3) და რუსეთელი ისლამ ალიევი (5:2).

ცოფურაშვილი შარშან ევროპის ვიცეჩემპიონი გახდა. წლეულს მან ნახევარფინალში რევანში აიღო შარშანდელი მარცხისთვის რუს აუეს გონიბოვთან დრამატულ ბრძოლაში — 5:4. მანამდე დამაჯერებლად მოუგო რუმინელ ანდრეი ჰორეა ბარბულს — 11:2, სლოვაკ არონ არპად ჩერგოს



— 2:0, თურქ ფურაკ ჰამზა ბაიარახტარს — 16:4, და ფინალში ბერძენ დიმიტრიოს ცომპანუდისს 13:5 აჯობა.

თოხაძემ ლიტველი ადომას გრიგალიუნასი (8:0), ფრანგი იაზიდ გარბი (6:0), პოლონელი მილოშ მაქსიმილიან კუზნია (8:0), სომეხი რობერტ კარაპეტიანი (7:4), რუსი არტემ მოროზოვი (10:0) დაჯაბნა, ჩემპიონობა მოიპოვა და არგენტინაში გასამართავი მსოფლიოს მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების საგზურიც დაიმსახურა.

ჩხიკვაძემ მხოლოდ ფინალი დათმო სომეხ საჰაკ ჰოვანესიანთან და მეორე ადგილს დასჯერდა. გოქაძემ ნახევარფინალში ჩეხ მარსელ ალბინთან წააგო, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი ბულგარელ კამენ პეტროვს სძლია.

ლექსო ცინცაძე

ნიჩბოსნობა

მსოფლიოს თასზე მეორე იყო

მცხეთელმა ნიჩბოსანმა, რიოს ოლიმპიადის მონაწილე ზაზა ნადირაძემ შესანიშნავად იასპარეზა კანოე-კაიაკში მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე, რომელსაც უნგრულმა სეგედმა უმასპინძლა. ერთადგილიანი კანოეთი მან 200 მეტრზე საკვალიფიკაციო გაცურვისას 39.013 წამით პირველი ადგილი დაიკავა და პირდაპირ A ფინალში მოხვდა. მსგავს წარმატებას მიაღწია ფოთელმა მურმან მალანიამ: მანაც ერთადგილიანი კანოეთი ეს დისტანცია 39.813 წამში დაფარა პირველი ადგილით და მთავარი ფინალის საგზური დაიმსახურა. გადამწყვეტი პაექრობისას ფინიშთან პირველი იყო ლიტველი ვადიმ კორობოვი (38.426). გამარჯვებულს 0.118 წამით ჩამორჩა ზაზა ნადირაძე, რომელსაც ვერცხლის მედალი ერგო. 38.738 წამით მესამე ადგილი ლიტველმა ჰენრიკას ჟუტაუტასმა დაიკავა. 19 წლის მურმან მალანიას (40.560) მერვე ადგილი ხვდა.

500 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი მთავარ ფინალში იყო დუშელი მარიამ ქერდიკაშვილი, რომელმაც სეგედშივე ერთი კვირით ადრე მსგავს ტურნირზე თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ამჯერად დუშელმა ნიჩბოსანმა 500 მეტრი საკვალიფიკაციო ეტაპზე მეორე ადგილით (2.12,839) დაასრულა და პირდაპირ A ფინალში მოხვდა, იქ კი მე-9 ადგილი (49.275) დაიკავა.

ზაზა ნადირაძე ახლა ბელარუსში ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ეს შეჯიბრება 8-10 ივნისს გაიმართება. გაისად მინსკში მე-2 ევროპული თამაშების პროგრამაში კანოეთი 200 მეტრზე პაექრობაა შეტანილი და მისი საგზურები ამ ევროპაზე გათამაშდება.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან — **ზაზა ნადირაძე, ვადიმ კორობოვი, ჰენრიკას**

უკვდავი სახელები

სამქულიანების დიდოსტატი



იმ დღეს საქართველოს სუპერლიგის მატჩს ვესწრებოდი. ერთ-ერთ ქართველ კალათბურთელს ზედიზედ 3 სამქულიანი სროლა გაუცუდდა.

— ე-ეჰ! — ამოიოხრა ჩემ გვერდით მჯდომმა ვეტერანმა კალათბურთელმა **გივი ბიჭიაშვილმა,** რომელიც, თავის დროზე, სპორტის ამ ლამაზი სახეობის ქომაგებს შორეული ზუსტი ტყორცნებით ხიბლავდა.

სწორედ ის წლები შევახსენე ბატონ გივის.

გივი ბიჭიაშვილის 20-წლიან კარიერას გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მოსწავლე პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თანატოლებში აღნაგობით. მეშვიდე კლასში, როცა ის ფიზკულტურის მასწავლებლებმა — სერგო აკოფოვმა და გოგი ღლონტმა კალათბურთის ანაბანას აზიარეს, 192 სანტიმეტრი სიმაღლისა იყო.

მალე რაიონულ და საქალაქო პირველობებში დაიგდო სახელი. სახელოვანმა მწვრთნელმა მიხეილ კეკელიძემ ბიჭიაშვილი თბილისის ნაკრების შემადგენლობაში მიიწვია. ამ გუნდმა 1965 წელს გომელში მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოიგო. მომდევნო წელს მსგავს წარმატებას ყაზანშიც მიაღწია, ოღონდ ამჯერად თბილისის „ნორჩი დინამოელის“ შემადგენლობაში.

— ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე გეტყვით, რომ მართლა მქონდა ბედნიერება, შორიდან ნატყორცნი ბურთები ზუსტად მომეთავსებინა კალათში. სამწუხაროდ, მაშინ სამქულიანები არ იყო, თორემ ვილნიუსში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე, ცსკა-სთან 39 ქულა რომ მოვაგროვე, ეს მაჩვენებელი 50-ს ასცდებოდა. თუმცა, ყოველთვის ასე როდი იყო. სავალალო კურიოზებიც მახსოვს — რიგის ვეფ-თან ზედიზედ 6 საჯარიმო ავაცილე. მაშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში გამოვდიოდი. საკავშირო ჩემპიონატის იმ ტურში კი მოსკოველ არმიელებს ახლო მანძილებიდან მიჯრით თერთმეტი ბურთი ჩავუგდე.

— სამქულიანები, მგონი, 1984 წლიდან შემოიღეს.

— ჰო, მაგრამ იმ დროს უკვე ის გივი ბიჭიაშვილი აღარ ვიყავი (ეცინება)... წლებს თავისი მიაქვს. ამიტომაც იმ წლიწადს დავანებე თავი კალათბურთს.

— „დინამოში“ როდის აღმოჩნდით?

— 1965 წელს, საკავშირო სპარტაკიადიდან დაბრუნებისთანავე, ბატონმა ოთარ ქორქიამ თბილისის „დინამოში“ მიმიწვია. მაშინ ამ გუნდში მოხვედრა ყველა ახალგაზრდა კალათბურთელის ოცნება იყო. უნდა გენახათ ჩემი სიხარული! აბა, რას წარმოვიდგენდი, თუ გურამ მინაშვილის, ვლადიმერ უგრეხელიძის, ლევან მოსეშვილის, ანზორ ლეჟავას, ვალერი ალთაბაევის, ამირან სხირელის, ალიკა კაზანჯიანის გვერდით მომიწევდა ვარჯიში და თამაში. მართალი გითხრათ, ცოტა შემეშინდა კიდეც, მაგრამ ბიჭებმა შემაგულიანეს და სიძნელეების გადალახვაში დამეხმარნენ.

— იმ წლებში თქვენ ხომ საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყავით...

— დიახ, 1965 წელს მე, ლევან ჩხიკვაძე, იური პულავსკი და მიხეილ ქორქია საკავშირო ნაკრებში მიგვიწვიეს და რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური მატჩიც ვითამაშეთ. მომდევნო წელს კი მე და ლევანი ბულგარეთში გავემგზავრეთ სოფიის თასზე საასპარეზოდ. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ზედიზედ სძლია კუბის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, იტალიის ნაკრებებს და მთავარი პრიზი მოიპოვა. არადა, ორი წლის შემდეგ კუბის იმ ნაკრებმა მექსიკის ოლიმპიურ თამაშებზე მესამე ადგილი დაიკავა, იტალიელები კი სულაც ევროპის ჩემპიონები გახდნენ

— „დინამოს“ მაისურა პირველად როდის მოირგეთ?

— 1966 წელს. საკავშირო ჩემპიონატში დებიუტი ტალინის „კალევთან“ მქონდა. ურიგოდ არ მითამაშია, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, რადგან თავს შებოჭილად ვგრძნობდი.

— ოთხი წელიწადი თბილისის „ბურევესტნიკის“ ღირსებასაც იცავდით...

— 1968 წელს, სხვადასხვა მიზეზით, გუნდიდან წავიდა ოთარ ქორქია. მის შემცვლელად ცოტა ხანს იმუშავეს მიხეილ კეკელიძემ და გიორგი ავალიშვილმა. მერე მთავარ მწვრთნელად ლევან ინწკირველი დანიშნეს. ეს ის პერიოდია, როცა უკვე სრული ამბიცია მქონდა, მოედანზე ვყოფილიყავი და მეთამაშა. ბატონმა ლევანმა კი, რატომღაც, ჯერ სათადარიგოთა სკამზე დამსვა, მერე 12 კაცშიც ვეღარ ვხვდებოდი.

მიზეზი რომ ვერ ამიხსნეს, 1968 წელს განაწყენებული თბილისის „ბურევესტნიკში“ გადავედი, რომელიც მიხეილ კეკელიძის ხელმძღვანელობით საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. იმ გუნდში თამაშობდნენ ილო ლეჟავა, სანდრო გლურჯიძე, სერგო კოვალენკო, რამაზ მანაგაძე, ლევან ჩხიკვაძე, ანზორ საკანდელიძე, იური პულავსკი, ჟორა ჯუღელი, გარიკ არუთინოვი...

ბედის მადლობელი ვარ, რომ ამ გუნდში მოვხვდი. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ნამდვილ კალათბურთელად „ბურევესტნიკში“ ჩამოვყალიბდი.

— ყველაზე მეტად რომელმა მატჩმა დაგწყვიტათ გული?

— 1972 წელს „დინამოს“ დაუბრუნდა ოთარ ქორქია, რომელმაც ჩემთან ერთად გუნდში მიიწვია ჩხიკვაძე, ძიძიგური და პულავსკი. მალევე დავიმკვიდრე ადგილი სასტარტო ხუთეულში. ჩვენმა გუნდმა 1976 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მსგავს წარმატებას მიაღწია მომდევნო წლის საკავშირო ჩემპიონატში, 1977 და 1983 წლებში სოციალისტური ქვეყნების დინამიადები მოვიგეთ, 1973 წელს კი მეორე ადგილი დავიკავეთ. ძალიან გვინდოდა ევროპის საკლუბო თასებზე გვეთამაშა. საამისოდ საკავშირო ჩემპიონატის სამეულში უნდა მოვხვედრილიყავით. ერთხელ გვქონდა ასეთი შანსი — ძირითადი ტურნირის შემდეგ ქულებით მესამეზე ვიყავით, მაგრამ ბრინჯაოს მოსაპოვებლად მე-4 ადგილზე მყოფ „სტროიტელთან“ 2 მატჩი უნდა გვეთამაშა. კიევში 6 ქულით დავმარცხდით. ისეთი შემადგენლობა გვყავდა, შინ სრულფასოვანი რევანში უნდა აგვეღო, მაგრამ... მოხდა ისე, რომ საპასუხო შეხვედრა მხოლოდ 2 ქულით მოვიგეთ და საპრიზო სამეულს მიღმა აღმოვჩნდით.

— საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც ყოფილხართ მიწვეული, მაგრამ მის შემადგენლობაში არასდროს გითამაშიათ. რა მიზეზით?

— ხომ გაგიგონიათ, „რაც მოგივა, დავითაო“... ჭაბუკთა ნაკრებში შეკრებისას გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა წამასწრო, სიგარეტს რომ ვეწეოდი. რა მრჯიდა... სხვების აყოლამ კარიერა შემიფერხა. ვილნიუსში ცსკა-სთან „დინამოს“ 39 ქულა რომ შევძინე, მაშინ მიმიწვიეს მთავარ ნაკრებში, მაგრამ მერე შეკრებაზე აღარ გამომიძახეს — ეტყობა, იმ მწვრთნელმა „ჩამიშვა“. მაინც მიმაჩნია, რომ უნდა ეპატიებინათ ახალგაზრდული შეცდომა, მით უმეტეს — ჩემპიონატის თითქმის ყოველ მატჩში 20-25 ქულას ვაგროვებდი.

— ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?

— „დინამოს“ ხშირად ჰქონდა პრობლემები მინსკის რტი-სა და ლენინგრადის „სპარტაკთან“ პაექრობისას. ნევის-პირელებს შესანიშნავი დაცვა ჰყავდათ. პირადად მე კი სისხლს მიშრობდა კაუნასელი სერგეიუს იოვაიშა — გრძელხელება, სწრაფმა და მოქნილმა კალათბურთელმა ჩემი თამაშის სტილი და ყველა მანერა იცოდა.

— მსაჯებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— მგონი, 1976 წელი იყო — მოსკოვში „დინამოს“ ვეთამაშებოდით. ერთ-ერთი შეტევისას მსაჯებმა ბურთი ჩამოგვართვეს — ხაზს ფეხი დააბიჯეო. შევეკამათე. ტექნიკური ჯარიმა მომცა. თავი ვერ შევიკავე და ქართულად შევაგინე, მან კი მაშინვე გასახდელისკენ მიმითითა. ვერაფრით მივხვდი, როგორ გაიგო ქართული გინება. მერე მითხრეს, რუსი მსაჯები თურმე სპეციალურად სწავლობდნენ ჩვენებურ გინებას, რომ მოედანზე არაფერი გამოჰპარვოდათ. მეტი კონფლიქტი მსაჯებთან არ მქონია.

— დღევანდელ ქართულ კალათბურთზე რას იტყვით?

— დიდი წარმატებაა, ჩვენი ბიჭები NBA-სა და ევროპის ძლიერ კლუბებში რომ თამაშობენ. საქართველოს ჩემპიონატებიც მაღალ დონეზე ტარდება. დარწმუნებული ვარ, ეროვნული ნაკრების ახლანდელი წევრები ქართულ კალათბურთს უფრო დიდ სიმაღლეზე აიყვანენ.

ვაჟა დანელია

სულთათანა

მარლენ გორდეზიანი

(1938–2018)

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარლენ გორდეზიანი.

დიდია მარლენ გორდეზიანის წვლილი მცენარეში ქსენობიოტიკების დეტოქსიკაციის პროცესის რეგულატორული მექანიზმების დადგენაში. მისი შრომები ფიტორემედიაციასა და მცენარეთა სელექციის ბიოინდიკაციის ბიოქიმიური კრიტერიუმების განსაზღვრის დარგში ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს.

მარლენ გორდეზიანი წარმატებით უძღვებოდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ბიოლოგიური ჟანგვის ლაბორატორიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაბორატორიის საქმიანობა ქიმიურად დაბინძურებული ეკოსისტემის გასუფთავების კომპლექსური ბიოტექნოლოგიების შექმნის საქმეში. ამ მიმართულების კვლევებში ლაბორატორიას წამყვანი პოზიცია უკავია, რაზეც მეტყველებს ლაბორატორიის მიერ მოპოვებული არაერთი საერთაშორისო და უნივერსიტეტის ცოდნის ფონდის გრანტები, საერთაშორისო თანამშრომლობა და პუბლიკაციები.

მ. გორდეზიანი იყო 140 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 9 მონოგრაფიის ავტორი. იგი აქტიურად იყო ჩართული აგრარული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესებში. მისი საოცარი ენერგია, ენთუზიაზმი და მაღალი პროფესიონალიზმი ყოველთვის მისაბაძ მაგალითად დარჩება ახალგაზრდა მკვლევარებისთვის.

ქართულ მეცნიერებას დააკლდა ერთგული და თავდადებული მსახური ბატონი მარლენ გორდეზიანი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მარლენ გორდეზიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 22,23 V, 16 სთ; დაკრძალვა: 24 V, 14 საათზე.

ვაჟა-ფშაველას V კვ., IV კორპ., III სად. VII სართ., ბინა 61, გამოსვენება ივერიის ღვთისმშობლის ტაძრიდან („შანხაისთან“).

ხსოვნა

შოთა ჭეიშვილი

ძვირფასი მეგობრის, როგორც თვითმყოფადი მოთამაშის, შთამბეჭდავი კარიერის წლებმა ჩაიარა. სწორედ იმ პერიოდში ჩამოყალიბდა ის ტაქტიკური კრედო, რომელსაც მან მოგვიანებით, მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ, უკვე ახალ ამპლუაში უერთგულა.

ახალგაზრდა სპეციალისტის აღიარებას წარმოადგენდა ის ნდობა, რომელიც მას ქართული ფეხბურთის ბერმუხამ ნოდარ ახალკაცმა გამოუცხადა და დამოუკიდებლობააღდგენილი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების პირველ მწვრთნელად დანიშნა. მანამდე იყო თბილისის „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბში გატარებული ერთგვარი დაღვინების სეზონები, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატებში ბათუმის „დინამოს“ სათავეში მოღვაწეობისას მოპოვებული განსაკუთრებული წარმატებებით დაგვირგვინდა. დაგვეთანხმებით, ეროვნული თასის გათამაშებასა (ორჯერ) და ქვეყნის სუპერთასზე გამარჯვება, აგრეთვე ეროვნულ ჩემპიონატში ორჯერ დამსახურებული ვერცხლის მედლები მისი არაერთი კოლეგის მონაგარს დაამშვენებდა.

დასანანია, რომ ასეთ ბრწყინვალე ადამიანსა და შესანიშნავ მწვრთნელზე ამიერიდან წარსულ დროში უნდა ვისაუბროთ.

ნათელი და სანთელი, ბატონო შოთა!

ვერის ბაღის გულშემატკივართა კლუბი.

გიორგი (გიგლა) და მედეა ჯაყელების ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ძვირფასი მეგობრის, ამაგდარი მწვრთნელის

შოთა ჭეიშვილის

გარდაცვალების გამო.

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამძიმარს უცხადებს ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს გუჩა კვარაცხელიას დის

გუგული კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო.
გამოსვენება: 24 V, 14 სთ.
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. 104

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლელა პაპავას და ქეთევან პაპავას თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრეები:** ლელა პაპავა (პ/ნ 61002014429), ბათუმი, აკ. წერეთლის ქ. №4, ბინა №20; ქეთევან პაპავა (პ/ნ 01024010781), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №110, ბინა №5.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ბათუმი, აკ. წერეთლის ქ. №4, ბინა №20 (საკადასტრო კოდი: 05.28.06.004.01.020https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 73662 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 23 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 11 ივნისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP52358418;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 523584

6. **მოვალე:** ლელა პაპავა (პ/ნ 61002014429), ბათუმი, აკ. წერეთლის ქ. №4, ბინა №20;
ქეთევან პაპავა (პ/ნ 01024010781), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №110, ბინა №5;
დიმიტრი ქიშმარიაშვილი (პ/ნ 61001013854), ბათუმი, ჯავახიშვილის 61, ბინა 15.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“,ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP52358418; ლოტის ნომერი: 523584).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 11 ივნისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება

2018 წლის 12 ივნისს დილის 10 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება თბილისის „ცენტროლიტის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2017 წლის წლიური ანგარიში;
2. სხვადასხვა.

სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 23 მაისი. მისამართი: ელ. ანდრონიკაშვილის ქ. №29.

ადმინისტრაცია

საქართველოში მიწისძვრა მოხდა



მიწისძვრა სოფელ ლაფანყურთან მოხდა. სეისმური მონიტორინგის უწყების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, სიმძლავრე 2,9 მაგნიტუდა იყო.

სეისმოლოგების ინფორმაციით, სტიქიის ეპიცენტრი ლაფანყურის ჩრდილო-დასავლეთით, 14 კილომეტრში დაფიქსირდა.

ბოიკოტი ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს

ივნისში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნაზე ვლადიმერ პუტინის ლოჟაში მსოფლიო ლიდერები არ უნდა იყვნენ, თუ ის სირიაში მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, აცხადებენ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციაში Human Rights Watch. „მსოფლიო ლიდერებმა მკაფიოდ უნდა მიახვედრონ ვლადიმირ პუტინი, რომ თუ ის არ შეცვლის კურსს და არ იმოქმედებს სირიაში, რუსეთისა და სირიის ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულების აღსაკვეთად, მაშინ მსოფლიო ლიდერები მასთან ერთად VIP ლოჟაში ჩემპიონატის გახსნაზე არ იქნებიან“, – აცხადებს Human Rights Watch-ის აღმასრულებელი დირექტორი კენეთ როთი.

ყალბი საბუთებით აღებული კრედიტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად კრედიტის უკანონოდ მიღების ფაქტზე სამი პირი პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ორ შემთხვევაში ბრალდებულებმა კრედიტის უკანონოდ მიღების მიზნით კომერციულ ბანკებში განაცხადის შევსებისას მიუთითეს ყალბი მონაცემები საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, თითქოსდა მუშაობდნენ სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურაში და იღებდნენ შესაბამის ანაზღაურებას. ხოლო მესამე ბრალდებულმა ბანკში ყალბი სახელფასო ცნობა წარადგინა. კრედიტის სახით მიღებულ თანხას ბრალდებულები მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ და ბანკის დავალიანება აღარ დაფარეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის განმავლობაში, საგამოძიებო სამსახურმა კრედიტის უკანონოდ მიღებასთან დაკავშირებით გამოძიება 43 ფაქტზე დაიწყო. აღნიშნული სახის დანაშაულის პრევენციის მიზნით საგამოძიებო სამსახური აქტიურ მუშაობას მომავალშიც გააგრძელებს.

ევერესტის დაპყრობისას ორი მთამსვლელი გარდაიცვალა

ორი უცხოელი მთამსვლელი დაიღუპა, ნეპალში ევერესტის დაპყრობისას. წერს ადგილობრივი გაზეთი „Himalayan Times“.

ბანაკის წარმომადგენელი აცხადებს, რომ გარდაცვლილია ორი მთამსვლელი – 36 წლის ნობუკაძუ კურიკი იაპონიიდან და 63 წლის გეორგი პეტკოვი მაკედონიიდან. მათი სხეულები მოსამზადებელ სადგომში იპოვეს.

ყნოსვის საიდუმლოებანი

ზოგიერთ სუნს მოზარდები ზრდასრულ ადამიანებზე უფრო ცუდად არჩევენ, – ასეთია ორჰუსის (დანია) უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევის შედეგები.

აღმოჩნდა, რომ 12-18 წლის ყოველი მე-7 მოზარდი ვერ არჩევდა ოფლის, ხოლო ყოველი მეათე კი – თამბაქოს კვამლის სუნს.

სამაგიეროდ, ისინი უფროსებზე უკეთ ადგენდნენ კოკას, ხილის საღეჭი რეზინის სუნს. მკვლევარები აცხადებენ, რომ **სუნების გამოცნობის უნარი მთელი სიცოცხლის მანძილზე იხვეწება.**

თუ არ შეგიძლია, დაამარცხო რუსეთი...



„თუ ვერ დაამარცხებ, ჩადექი მათ რიგებში!“ – აშშ-ის პრეზიდენტობის ექს-კანდიდატი ჰილარი კლინტონი იელის უნივერსიტეტში, გამოსაშვებ საღამოზე რუსული ბეწვის ქუდით – „უშანკით“ მივიდა. „თქვენ ყველას თავსაბურავი გახურიათ, მეც მაქვს ერთი – რუსული ქუდი“ – განაცხადა კლინტონმა და მხოლოდ დემონსტრირება მოახდინა ქუდის, ის არ დაუხურავს. „მე ჯერ კიდევ მაფიქრებს ჩემი მარცხი და დაშვებული შეცდომები. ისის გააზრება, თუ რა მოხდა ამ უცნაური და ველური საარჩევნო კამპანიის პერიოდში, დაგვეხმარება, დავიცვათ ჩვენი ქვეყნის დემოკრატია მომავალში“ – განაცხადა კლინტონმა.

აშშ-ის მედია ვარაუდობს, რომ ამ ფორმით ჰილარი კლინტონმა 2016 წლის არჩევნებში დამარცხებაზე და დონალდ ტრამპისა და რუსეთის შესაძლო კავშირებზე მიანიშნა.

პუტინმა მერკელი ყვავილებით დაამცირა!

მერკელის ყვავილები „დამამცირებელია“ – გერმანულმა გაზეთმა „Bild“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ შეხვედრას ორ ლიდერს შორის სოჭის რეზიდენციაში ეწოდება „დიპლომატიური დუელი“, რომლის ფარგლებშიც მხარეები“ცვლიან დარტყმებს“.

ჟურნალისტი ხსნის, თუ რატომ იყო პუტინის მოქმედებაში ჩადებული ფარული დაპირება.

„ეს ჟესტი თითქოს გამოიყურება, როგორც პატივისცემის გამოვლინება, თუმცა სინამდვილეში ეს დამამცირებელია“ – ნათქვამია პუბლიკაციაში. ავტორის თქმით, „სერიოზულ პოლიტიკურ წრეებში არ არის მიზანშეწონილი ყვავილების ჩუქება. სერიოზული სახელმწიფო მოხელეები როგორც წესი – ხელის ჩამორთმევით იფარგლებიან“.

პუტინმა თავისი ჟესტით გაუგზავნა მერკელს სიგნალი, რომ ის არის მამაკაცი, ხოლო მერკელი – ქალი. ეს ძალზე დამამცირებელია, – წერს გაზეთი „Bild“.

ჟურნალისტი ასევე ამბობს, რომ პუტინისა და მერკელის ეს შეხვედრა ეწინააღმდეგება ტრადიციული მაღალი დონის შეხვედრებს.

ბიონსემ ეკლესია იყიდა



ამერიკელმა მომღერალმა ნიუ ორლეანში ეკლესია იყიდა. როგორც გამოცემა TMZ წერს, მომღერალმა მასში 850 ათასი დოლარი გადაიხადა.

შენობა 700 კვ/მ-ს მოიცავს, თავად ეკლესია კი 1900 წელსაა აშენებული, თუმცა რამდენიმე წელია, მასში წირვა ლოცვა აღარ აღევლინება.

TMZ-ის ცნობით, ეკლესიის მახლობლად მომღერლის და სოლჟაკი ცხოვრობს. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე თვის წინ ეკლესიაში თავად მომღერალმა შეასრულა რიტუალი, რომელსაც 900-მდე ადამიანი დაესწრო.

სოციალურ ქსელებში ბიონსეს შენაძენს აქტიურად განიხილავენ და წერენ, რომ ამ ეკლესიაში ბიონსე პირადად შეასრულებს ლიტურგიას. თავად პოპ მომღერალს ამ მოსაზრებაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

საქართველოს რესპუბლიკა

ცხელი ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4365; ევრო - 2.8641;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2661;
100 რუსული - 3.9179; თურქული ლირა - 0.5341;
ავსტრალიური დოლარი - 1.4370;
1000 სომხური დრამი - 5.0487.

ამინდი 23 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +27
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +30
თბილისი: ღამე +18, დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge